საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათს, 8 ივლისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 152 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 152

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

საქართველოს სახაზინო რკინის გზის სტამბა-ლიტოგრაფიის გვარდიელები აუწყებენ ამხანაგ-ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას 4 ივლისს ბანაობის დროს სად. კავთისხევთან დაიხრჩო

არჩილ ნიკოლოზის ძე კოტეტიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. კავთისხევში. (2210 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ვაჟი მიხეილ ივანეს ძე გერმანოვიჩი, ქალი ანეტა გერმანოვიჩი, ძმა ალექსანდრე ხოფერია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 11 ივლისს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

სოფიო ნიკოლოზის ასულის გერმანოვიჩისა

პანაშვიდი იქნება ქ. ფოთში სასაფლაოს ეკლესიაში. (2206 1—1)

მოულოდნელ უბედურებისაგან მეხ დაცემული მშობლები: იაკინთე და ანეტა ცქიტიშვილები, ძმები: მიშა, შალიკო, გუგულა, დები: ნადია და ქეთო, რძალი ანა, სიძეები ანდრია ჭიჭინაძე შვილებით, სერგო მესხი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ორი თვის შესრულების თავს, ორშაბათს, 12 ივლისს (ახალი სტილით) დილის 12 საათზე იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი სოფ. შროშაში ყველასათვის საყვარელის უდროოთ დაკარგულის

ალიოშა ცქიტიშვილის

სულის მოსახსენებლად. სტუდენტი მე-4 კურ. ნოვოჩერკასკის პოლიტ. ინსტიტუტისა. (2212 1—1)

დაუსრულებელი ტანჯვით წამებული ლუბა იაკინთეს ასული წერეთლისა აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 12 ივლისს დღით ორშაბათს, 12 საათზე სოფ. შროშაში იქნება გადახდილი 2 თვის შესრულების თავზე წირვა და პანაშვიდი სიცოცხლის ნუგეშის უდროოთ დაკარგულის საყვარელი ძმის

ალიოშა ცქიტიშვილის

სულის მოსახსენებლათ. სტუდ. მე4 კურსის ნოვეჩერკასკის პოლიტეხნიკუმისა. (2212 1—1)

სამტრედიის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბი, ოფიცრები და გვარდიელები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 5 ივლის ტყვეობაში აზერბეიჯანის მიმართულებით ფრონტზე ცემისაგან სნეულებით გარდაიცვალა მეორე იმერეთის ბატალიონის გუნდის უფროსი

ნიკოლოზ ალექსის ძე გოფაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში, რაც განცხადებული იქნება განსაკუთრებით. (ნ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მარგარიტა, შვილები: სერგო, მარო, სონა, თამარა, ალიოშა, ელენა, კატუშა და ვასო, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს გარდაცვალებას პირველი საყვარელი ქმრისას დანარჩენები დაუვიწყარი მამის

პორფილე ზევარის ძე ვაშალომიძისა

დაკრძალვა მოხდება დღეს, 8 ივლისს დღითი ხუთშაბათს. (2214 1—1)

მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის ქ. № 129).

შაბათს, 10 ივლისს — შაბათს, 10 ივლისს

გ. ქუჩიშვილის

საღამო

ვახტანგ კოტეტიშვილი: სიტყვა: „მოწინავე სადარაჯოზე“. შინაარსი: 1) ისტორიის გარდაცეხვა; 2) ქვეყნის ტკივილები; 3) ევროპა ახალ საზღვართან; 4) აღმოსავლეთი; 5) საქართველოს პერსპექტივები.

პოეტები: ვარლამ რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, გ. ცეცხლაძე, გ. შინატეხელი და სხვა. **დეკლამატორი:** მიხ. ჭიაურელი. **იუმორი:** თავუნა წაიკითხავს ახალს ნაწარმოებს.

მხიარული კომედია „პარტია-პურტია“

ქართველ მსახიობთა მიერ. ბილეთები ყოველ დღე იყიდება კლუბში.

გამგე **ი. თარალაშვილი.**

მილიციის კოოპერატივის წევრთა საყურადღებოთ

პირველი ივლისიდან მილიციის კოოპერატივი თფილისის ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოების ხელში გადავიდა, ამიტომ ვსთხოვთ მილიციის კოოპერატივის წევრებს, ვისაც წევრად დარჩენა სურს, გამოსცვალონ საწევრო წიგნაკები და შეასონ პაი ას მ-დე. თანახმად წესდებისა. ვინც დღეიდან სამი თვის განმავლობაში არ განაცხადებს თავის სურვილს, ის წევრის უფლებას ჰკარგავს და მისი საწევრო ფული გადაირიცხება საზოგადოების სათადარიგო თანხაში.

მისამართი: ველიამინოვის ქუჩა № 7.

გამგეობა. (2211 1—1)

მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა „ქართლი“

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლს“ გორის სამაზრო ერობასთან ერთად აქვს გასაყიდათ მომზადებული დიდძალი **ზამთრის ხილი.** მსურველთ შეუძლიანთ **დაკვეთა** ხელმისაწვდომ ფასებში

ფუთობით და ვაგონობით

აქაურ თუ საზღვარ-გარეთულ ბაზრისთვის გამზადებული (упаковка). მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 4, „ქართლი“. **ამხანაგობის გამგეობა.** (2163—6—2)

განცხადება

ქართლის სახელმწიფო მამულის (სოფ. მუხრანში) გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1920 წ. 15 ივნისს, შუადღის 12 საათზე მამულის კანტორაში დანიშნულია ზეპირი საჯარო ვაჭრობა (ტორგი) ა. წ. მოსავლისა 20 დეს. ხილის ბაღიდგან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ გამოცხადებული ფასის 10 პროც. საწინდრად. ცნობების გაგება შეიძლება ადგილობრივ და აგრეთვე მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. (2207—2—1)

სააქციზო სამმართველოს მოხელენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 6 ამა ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საუკეთესო მათი ამხანაგი და მუშაკი აქციზის ინსპექტორი

დავით ვასილ ს ძე სიდამონ-ერისთავი

დღეს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე საუფლისწულო („უდელის“ ქ. № 12 დანიშნულია პანაშვიდი. დაკრძალვა პარასკევს 9 ივლისს წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. (2218—1—1)

დიმიტრი ნიკოლოზის ძე კოტეტიშვილი ოჯახობით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას ძმის

არჩილ ნიკოლოზის ძის კოტეტიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ს. კავთის ხევში.

ექიმი

ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი

იღებს საბებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

რუსეთის კომუნისტები და ევროპის მუშები

მკითხველს ეხსომება, რომ წარსულ მაისში საბჭოთა რუსეთს ეწვია ინგლისის ტრედ-უნიონების (პროფესიონალურ კავშირების) მიერ გამოგზავნილი დელეგაცია, რომლის დანიშნულება იყო—ადგილობრივ გასცნობოდა დღევანდელი რუსეთის მდგომარეობას და თავისი უშუალო შთაბეჭდილება გაეზიარებინა ინგლისის მუშათა კლასისთვის. დელეგაციამ მოიარა რუსეთის სხვადასხვა ადგილები, იყო პეტროგრადში, მოსკოვში სამარაში და სხ. თავის დროზე კომუნისტების გაზეთებმა ქვეყანა გააყრუეს ყვირილით, რომ ინგლისელი სტუმრები აღტაცებაში მოვიდნენ რუსეთში ნახულით. ეს ყვირილი მაშინვე ეჭვსა ბადებდა, მაგრამ როგორც ვიცით, რუსეთში არ გამოდის არც ერთი ბეჭდვითი ორგანო, გარდა კომუნისტებისა და კომუნისტური ტრაბახის შემოწმება თავის დროზე შეუძლებელი იყო. თვით კომუნისტურ გაზეთებიდანაც ჩანდა, რომ ინგლისელ მუშათა დელეგაციის აღტაცება საბჭოთა რუსეთის წესებით არც ისე განუსაზღვრელი ყოფილა, როგორც ეს უნდოდა მოეჩვენებინა კომუნისტების პრესას: იმ სიტყვებიდან, რომლებიც მოსკოვში წარმოსთქვეს ინგლისის მუშების დელეგატებმა **შოუმ და ჯესტმა**, აშკარათ ჩანდა, რომ ინგლისის დელეგაციამ დღევანდელ რუსეთის სინამდვილეში ბევრი რამ საშინელი და თავზარდამცემი ნახა.

ინგლისის დელეგაციის ასეთი შთაბეჭდილება დღეს მეორე მხრიდან მტკიცდება. ჩვენ წინ დევს ლენინის „წერილი ინგლისის მუშებისადმი.“ ამ წერილში ლენინი ცდილობს გაბათილოს ინგლისის მუშების თვალში ის შთაბეჭდილება, რომელიც მათმა დელეგატებმა გამოიტანეს რუსეთის ნახვიდან. ამ მიზნის მიღწევას ლენინი ლამობს თავისი ჩვეულებრივი ხერხით: იგი არწმუნებს ინგლისის მუშებს, რომ მათი დელეგაციის ბევრი წევრები „დგანან არა მუშათა კლასის თვალსაზრისზე, არამედ ბურჟუაზიის, მყვლეფელი კლასის თვალსაზრისზე“. იგი უკიჟინებს მუშათა დელეგატებს, რომ ისინი „ჯერ კიდევ შეპყრობილნი არიან ბურჟუაზიული ცრუ-მორწმუნეობით „დემოკრატიის“ შესახებ“.

ლენინის წერილიდან აშკარად ჩანს ისიც, თუ რას მოუხდენია ინგლისელ მუშებზე ყველაზე საზარელი შთაბეჭდილება რუსეთში. „თქვენი დელეგაციის ზოგიერთი წევრები მეკითხებოდენ მე შესახებ წითელი ტერორისა, მეკითხებოდენ, რათ არის რუსეთში დახშული პრესის, კრებების თავისუფლება, რათ სდევნიან მენშევიკებს, მენშევიკ-მუშებს და სხ.“. ლენინი ამ ფაქტებს არ უარჰყოფს, მხოლოდ ცდილობს თავისებურად ახსნას. წითელი ტერორი, საბჭოთა რუსეთში, ლენინის სიტყვით, ეს არის პასუხი იმ თეთრი ტერორის, რომელიც რეაქციამ გაამეფა მთელს მსოფლიოში და რომელიც რუსეთში დაიწყო კონტრ-რევოლიუციამ. „ჩვენი წითელი ტერორი—ეს არის მუშათა კლასის თავდაცვა მყვლეფელთაგან, ეს არის მყვლეფელთა წინააღმდეგობის გასრესა“. ლენინი არც იმას უარჰყოფს, რომ რუსეთში სოციალისტურ პარტიებს და არა—კომუნისტ-მუშებსაც კი არა აქვთ საშუალება ხმა ამოიღონ. ამის გასამართლებლად მან გამოიგონა ისეთი საბუთი, რომელიც თავისი ლოღიკით შურს აღუძრავდა განსვენებულს პლევეს და პობედონოსცევს: **„თავისუფლება პრესის და კრებების ბურჟუაზიულ დემოკრატიაში, ეს არის თავისუფლება შეთქმულობის მოწყობისა მშრომელთა წინააღმდეგ, ეს არის თავისუფლება კაპიტალისტების მიერ გაზეთების მოსყიდვისა.** ეს მე ისე ხშირად აღმინიშნავს პრესაში, რომ მომეწყინა ამისი გამეორება“. ამ სიტყვებში იხატება ისეთი სამოსელი სახელმწიფოებრივი თეორიისა, ისეთი თავზარდამცემი მსოფლმხედველობა, რომელიც საშუალო საუკუნეების ინკვიზიციას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მეოცე საუკუნის სახელმწიფოს.

ინგლისის დელეგაციამ მხოლოდ რამდენიმე ქალაქის დათვალიერება მოასწრო. მან ნახა მხოლოდ შიდა რუსეთი, სადაც შედარებითი (თუმცა სასაფლაოსებური) წესიერებაა დამყარებული. მას არ უნახავს სამხრეთის რაიონები, სადაც კომუნიზმმა დიდი ხანი არ არის, რაც შესდგა ფეხი და თავისი ბატონობის განმტკიცებას ახლად შეუდგა. მას არ უნახავს ის მასიური ყაჩაღობა, რომელშიაც გამოიხატება მთელი კომუნისტური სახელმწიფოებრივი საქმიანობა ქ. ხარკოვში. მას არ უნახავს ის განადგურება, რომელიც კომუნისტების „წითელმა“ ჯარმა მიაყენა რუსეთის უმდიდრეს ნაწილს—ჩრდილო-კავკასიას. მეტადრე მას არ უნახავს ის მასიური ჟლეტა, რომელიც ნებაყოფლობით მიწვეულმა „წითელმა“ არმიამ ჩაიდინა ადერბეიჯანის მცხოვრებთა მიმართ. ყველაფერი ეს რომ ენახათ ინგლისელ მუშებს, საბჭოთა რუსეთი თვალუწვდენელ ჯოჯოხეთად მოეჩვენებოდათ. მაშინ ისინი მიხვდებოდენ, რომ იმ მსოფლმხედველობას, რომელიც გამოსჭვივის ლენინის წერილიდან და მეტადრე ზემოთ ამოწერილ სტრიქონებიდან, აუცილებლად მისდევს ის თავზარდამცემი პრაქტიკა, რომელიც ბობოქრობს მთელი რუსეთის სივრცეზე.

ლენინის სიტყვებში გამოთქმული რუსეთის კომუნიზმი, ეს არის ანარქიის, საზოგადოებრივ ქაოსის, სიბნელის და შეუგნებლობის იდეოლოგია. მას აუცილებლად უნდა წარმოეშვა ბნელი ძალების, დეკლასიურ (კლასს გარეშე დატოვებულ) ელემენტების თარეში.

უეჭველია ინგლისელ მუშათა დელეგაციამ ეს იგრძნო რუსეთში ყოფნისას და უეჭველია ლენინის წერილის წაკითხვაც ამას აგრძნობინებს ინგლისის მუშებს.

საბჭოთა რუსეთში

კომუნისტები და გლეხობა.

I.

მესამე წელია, რაც რუსეთში ბოლშევიკები ბატონობენ. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მუდამ გვესმის: სოციალისტური რუსეთი, სოციალიზმის განხორციელება, პროლეტარიატის ბატონობა და სხ.

ჩვენ დაჟინებით ჩაგვჩიჩინებენ: აი რუსეთი, აი რას ნიშნავს პროლეტარიატის რევოლიუცია, აი როგორ ცხოვრობენ სოციალისტურ რუსეთში. გვირჩევენ მივბაძოთ მათ; გვირჩევენ გავჰყვეთ მათ და ასე გავაბედნიეროთ ის კლასი, რომლის სვე-ბედი ისტორიამ ჩვენ ჩაგვაბარა.

ჩვენს იჭვიანობას, ჩვენს უთანხმოებას მათთან, მუშათა კლასის ღალატათ აცხადებენ და იმავე რუსეთის სახელით განადგურებით გვემუქრებიან.

ბრძოლას ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ბრძოლა სწარმოებს ახლაც და სწარმოებს კიდევ უფრო მკაცრათ.

რა იწვევს ამ ბრძოლას?

ბოლშევიკებს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან: მენშევიკებმა უღალატეს მუშათა კლასს მიემხრენ ბურჟუაზიას და მით დასჩაგრეს მშრომელი კლასი. ჩვენი მოვალეობაა ამ დაჩაგრული კლასის ინტერესების დაცვა. ამიტომ ვებრძვით მენშევიკებსო.

ჩვენ მუდამ ვაფრთხილებდით ბოლშევიკებს, რომ მათი მოქმედება, მათი ტაქტიკა კი არ იცავს მუშათა კლასს, არამედ ანადგურებს, სპობს ფიზიკურათ, აჩლუნგებს გონებრივათ, აცინებს ზნეობრივათ, აღატაკებს ქონებრივათ. ამიტომ მათი სოციალიზმი—არის არა ნამდვილი სოციალიზმი, არამედ „სოციალიზმი შიმშილის“, „სოციალიზმი გავერანების და გაპარტახების“.

ბოლშევიკებმა არ გაიგონეს ეს გაფრთხილება და თავის გზას გაჰყვენ. გარემოებამ შეუწყო ხელი გაბატონებულიყვენ და ასე საშუალება მიეცათ თავის სიტყვა საქმეთ ექციათ.

მართალია, მათი საქმიანობა მეტად რთულ და მძიმე პირობებში ხდება; მართალია ბევრი ხელოვნური დაბრკოლება გადაეღობათ გზაზე, მარა მართალია ისიც, რომ ეს დაბრკოლებანი და ეს ცუდი პირობებიც უმთავრესათ შედეგია მათი ცუდი და ხეპრული პოლიტიკის. ამიტომაა, რომ ჩვენ უარს ვყოფთ მათ ხეპრულ პოლიტიკას და ასე თავიდან ვიშორებთ იმ აუცილებელ დაბრკოლებებს, რომელიც კიდევ უფრო გაართულებდა ისედაც რთულ პირობებს.

სამი წელია ბოლშევიკები მუშაობენ. სამი წელია ისინი ცხოვრებას თავის გეგმის თანახმად აწყობენ. რა შედეგი მოჰყვა მათ მუშაობას? როგორ მოაწყვეს ქვეყანა და რა მოუტანა მათმა მუშაობამ რუსეთის მუშათა კლასს? აი კითხვები, რაზედაც ჩვენ გვინდა უპასუხოთ და ამ პასუხით გავაცნოთ ჩვენ მკითხველებს ბოლშევიკების საქმიანობა.

ჩვენ ბევრი გვიწერია, ბევრი გვილაპარაკია მათი პოლიტიკის შესახებ. მარა გვიწერია თანახმად ჩვენი თეორიული და პრაქტიკული შეხედულებისა. ამ ხელათ კი, ჩვენ გვინდა ვალაპარაკოთ თვით ბოლშევიკები. ჩვენ ხელთ არის მრავალი მასალა და ამ მასალის გაცნობამ, თვით ბოლშევიკების ლიდერების მიერ ნათქვამმა და დადასტურებულმა—ურწმუნონიც კი უნდა დარწმუნონ იმაში, თუ რა არის „რუსეთის კომუნიზმი“, რას უქადის ის ქვეყანას და რა მიაქვს მას მშრომელი კლასისათვის.

ვიწყებთ გლეხობიდან.

1917 წელს, ოქტომბერში, ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს ბოლშევიკებმა. ამას ისინი ეძახიან პროლეტარულ რევოლიუციას. ამ დღიდან ისინი რუსეთს სოციალისტურ რესპუბლიკას ეძახიან, რუსეთს სოციალიზმის სამეფოთ აცხადებენ.

მართალია ეს? რასაკვირველია, არა. ბოლშევიკებმა უფლება ხელში ჩაიგდეს გლეხებთან ერთად. გლეხობა კი კერძო მესაკუთრეებია. სოციალიზმი კი ნიშნავს ამ საკუთრების მოსპობას. როგორ მოხდა რომ კერძო საკუთრების დარაჯებმა ამავე საკუთრების მომსპობი რევოლიუცია მოახდინეს!? ეს, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა, მარა თუ ბოლშევიკები მაინც იმეორებენ წარა-მარა, რომ ოქტომბერში სოციალისტური რევოლიუცია მოხდაო და ისიც მარქსის სახელით, ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ ბოლშევიკებს მეტად ყალბი და მრუდე წარმოდგენა აქვთ მარქსზე და მის მოძღვრებაზე.

ამ ყალბი აზრით და მტკიცებით ამ დღეებში „საქ. კომუნისტიც“ გაგვიმასპინძლდა. ის სწერდა: რუსეთში ოქტომბერში მოხდა მეორე რევოლიუცია. ეს იყო რევოლიუცია პროლეტარული, სოციალისტური. საქართველოში კი ასეთი არ მომხდარა. მაშასადამე,—დაასკვნიდა ავტორი,—აქ, საქართველოში იყო მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლიუცია. ამიტომ მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს მოხდეს პროლეტარული რევოლიუციაო.

ეს აზრი ისე გავრცელებულია კომუნისტებში, რომ რაც უნდა საბუთი მოუყვანოთ—ჩვენ მაინც არ დაგვიჯერებენ. ამიტომ უნდა მივმართოთ ისეთ პირს, რომელიც უდიდესი ავტორიტეტია კომუნისტებისათვის. ეს არის თვით ლენინი.

კომუნისტების მერვე ყრილობაზე თავის ვრცელ თეორიულ სიტყვაში ლენინმა, სხვათა შორის, სთქვა: „1917 წ., ოქტომბერში, ჩვენ ძალა-უფლება ჩავიგდეთ ხელში მთელ გლეხობასთან ერთად. (с крестьянством в цѣлом.) ეს **იყო რევოლიუცია ბურჟუაზიული** (ხაზი ჩვენია). ამ დროს სოფლათ კიდევ არ იყო კლასთა ბრძოლა გაჩაღებული. მხოლოდ **1918 წელს ზაფხულში** (ხაზი ჩვენია) დაიწყო ნამდვილი პროლეტარული რევოლიუცია სოფლათ“. (ოქმი ყრილობისა. გვ. 298).

როგორც ხედავთ, თვით ლენინი ადასტურებს, რომ ოქტომბრის რევოლიუცია—ეს იყო რევოლიუცია ბურჟუაზიული. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ თებერვალში ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს ესერებმა და კადეტებმა, ოქტომბერში კი ბოლშევიკებმა.

უნდა ვიფიქროთ, ლენინის ამ განცხადება-განმარტების შემდეგ, ჩვენი კომუნისტები გაგვანთავისუფლებენ ამ თემაზე უადგილო კამათიდან და ტრაბახიდან.

ჩვენ შევჩერდით ამ საკითხზე იმიტომ, რომ ჩვენი კომუნისტები, როგორც ეტყობათ, დღესაც დარწმუნებული არიან, რომ ოქტომბერში მართლა პროლეტარული რევოლიუცია მოხდა. ამიტომ ჩვენ საჭიროთ ჩავთვალეთ გაგვეცნო მათთვის თვით ამ გადატრიალების ავტორის და იმავე დროს მათი ბელადის ლენინის აზრი და შეხედულება.

ლენინი „ნამდვილ პროლეტარულ რევოლიუციის“ დატათ აცხადებს 1918 წ. ზაფხულს. რატომ იწყებს აქედან და რამდენათ მართალია ეს—ამას შემდეგ დავინახავთ. ახლა კი უბრუნდებით მიწის საკითხს და მათ ურთიერთობას გლეხობასთან.

როგორ გადასწყვიტეს ბოლშევიკებმა მიწის საკითხი?

როგორც ვიცით, მათ მიიღეს მიწის სოციალიზაცია. იყო თუ არა ეს ბოლშევიკების პროგრამა? რასაკვირველია, არა. ეს იყო ესერების პროგრამა და ამას ბოლშევიკები ჩვენთან ერთად მთელი ათეული წლების განმავლობაში ებრძოდნენ.

მაშ რათ მიიღეს? ამაზე პასუხს იძლევა თვით ლენინი. ის ამბობს: „ეს პრინციპები (ე. ი. სოციალიზაცია) წამოაყენა თვით გლეხობამ „въ эпоху соглашательства (სახეში აქვს კერენსკის მთავრობა) და პროლეტარიატი დაეხმარა მათ გაეტარებიათ ის ცხოვრებაშიო“ (ოქმი. გვერ. 196).

ეს არ იყო და არც ახლა არის ბოლშევიკების პროგრამა მიწის საკითხში. მარა თუ მაინც მიიღეს და გაატარეს ეს იმიტომ, რომ ეს თურმე ასე უნდოდა თვით გლეხობას და თან თურმე კიდევ იმისთვის, „რომ მაშინ რევოლიუციის მოხდენა შეიძლებოდა მხოლოდ მიწების დატაცების და თანასწორად დაყოფის ფორმით. გლეხობას არ შეეძლო მაშინ რომელიმე სხვა პროგრამა შეეთვისებიაო“—ამტკიცებს ამავე ყრილობაზე მომხსენებელი კურაევი. (გვერდი 196).

ამ რიგათ, ბოლშევიკებმა უარჰყვეს თავის საკუთარი პროგრამა, მიიღეს სხვისი, დასცეს დასტური მიწების დატაცებას. ერთი სიტყვით, აყვენ გლეხობას და გახდენ მისი მაჩანჩალა. ბოლშევიკები კი არ უძღოდენ და უკარნახებდენ გლეხების მოძრაობას სავალ გზას, არამედ თვით გლეხობა მიათრევდა მათ და აკეთებიებდა იმას, რაც თურმე მას უნდოდა. და აი ამის შემდეგ კიდევ ამაყობენ:

— ჩვენ რევოლიუციის ავანგარდი ვართო.

გამოცხადდა და გატარდა მიწის სოციალიზაცია. მარა აღმოჩნდა რომ ეს არ არის თურმე ის, რაც გლეხობას უნდოდა. „როცა სოციალიზაცია გატარდა—ამბობს იგივე კურაევი—ღარიბმა გლეხობამ შეიგნო, რომ გამათანასწორებელი დაყოფა მიწების არ არის ის, რასაც იგი ესწრაფოდა: რომ მას არ შეუძლია დაიმუშავოს მისი ხვედრი მიწა და რომ უფლება მიწაზე—არის არარეალური უფლება. ვერც საშუალო გლეხობა დაკმაყოფილდა მიწის სოციალიზაციამ. არც სოფლის ბურჟუაზია დარჩა კმაყოფილი. და დაიწყო სოფლათ კლასობრივი ბრძოლა“ (გვ. 196).

ამ რიგათ, სოციალიზაცია გატარდა, მარა ის სრულიად უვარგისი აღმოჩნდა. ვერც ღარიბი გლეხობა დააკმაყოფილა, ვერც საშუალო, ვერც „სოფლის ბურჟუაზია“. ეს ისე აშკარა გამხდარა, რომ ახლა ბოლშევიკები ცდილობენ სოციალიზაციით წამხდარი საქმის გამოკეთებას. ამის შემდეგ ჩვენში კიდევ არიან ისეთი უტოპისტები, რომლებიც ახლაც ებღაუჭებიან მიწის სოციალიზაციას და ეს სრულიად უვარგისი საშვალება უმაღლეს სიბრძნეთ გამოაქვთ. დე, რუსეთის მაგალითი უკანასკნელი გაფრთხილება იყოს მათი!

როგორი ურთიერთობა დამყარდა გლეხობასა და ბოლშევიკებს შორის?

მეგობარი.

დამფუძნებელი კრება

6 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

მელ. რუხიას მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

სერ. ჯაფარიძე მოახსენებს კანონპროექტს მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ. ამ კანონ-პროექტის ზოგიერთ მუხლების წინააღმდეგ გამოდის ლ. შენგელაია, რომელსაც მ. მხსენებელი აძლევს პასუხს.

ვ. ცაბაძეს მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტი სეტყვისაგან დაზარალებულთათვის სათესლე სიმინდის მისაწოდებლათ 10,000,000 მ. გადადებისა.

ივ. გომართლის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ტყიბულის მაღაროების საჭიროებისათვის დამატებად 14,151,32 მ. კრედიტის გახსნისა.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა შემდეგი დეკრეტები: რესპუბლიკის თვითმართველობათა სასარგებლოთ მოწყობილ ოთახებსა და გასტრონომიულ მაღაზიებზე გადასახადის დაწესებისა და უცხოეთიდან შემოტანილ კონიაკის სპირტზე საბაჟო ტარიფის შეცვლისა.

გ. ცისკარიშვილის მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული შემდეგი დეკრეტი ქ. თელავის თვითმართველობისათვის 3,000,000 მ. სესხის მიცემისა, ქალაქ ლანჩხუთის თვითმართველობისათვის 1,500,000 მ. სესხის მიცემისა, ქ. ოზურგეთის თვითმართველობისათვის 2 მილ. მან. სესხის მიცემისა, ქალაქ ზუგდიდის თვითმართველობისათვის 2 მილ. მან. სესხის მიცემისა, ქ. ოჩემჩირის თვითმართველობისათვის 2 მილ. მან. სესხის მიცემისა.

ქრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები რესპუბლი-

გენერალური შტაბის ცნობა

7 ივლისი.

დღის 12 საათზე ჩვენი ჯარები შევიდნენ ბათომში. მათ მცხოვრებლები ზეიმით შეეგებნენ. საღამოს 6 საათზე მოხდება საზეიმო ცერემონია. ინგლისის მთავრობის წარმომადგენლების მიერ ბათომისა და მისი ოლქის ჩვენზე გადმოცემის გამო. აგრეთვე ერთდროულათ მოხდა ბათომში მყოფ ინგლის-საფრანგეთისა და ჩვენი ჯარების აღლუმი.

6 ივლისს 12 საათზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავა ბორჩხა, სადაც ინგლისის სარდლობის წარმომადგენლებმა მართველობა ჩვენი ჯარების უფროსს გადასცეს. ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენს ჯარებს პურ-მარილით მიეგება.

ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.

საქართველოს დეპეშათა სააგენტოს ცნობა.

ბათომი. ქალაქში ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელთა მიერ შემდეგი განცხადებაა გაკრული: „უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებით მოკავშირეთა ჯარების მიერ ბათომის და მისი ოლქის ოკუპაცია ხდება. ქალაქს და ოლქს გადასცემენ საქართველოს 1920 წ. 7 ივლისს, ნაშუადღევს. ამიტომ ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორი მთელი ბათომის და მისი ოლქის მცხოვრებლებს უბრძანებს დაიცვან სრული სიმშვიდე და ჩვეულებრივი მუშაობა განაგრძონ. ის ბოროტათ განწყობილი პირები, რომლებიც შეეცდებიან ხელი შეუშალონ ბრიტანეთის ძალების მშვიდობიან ევაკუაციას ან საქართველოს ჯარების მშვიდობიან შემოსვლას, სამხედრო დროის მომქმედ კანონის თანახმად, სასტიკად იქნებიან გასამართლებულნი. საქართველოზე ძალა-უფლების გადაცემამდე ამ ბოროტად-განწყობილ პირებს მიაკუთვნებენ ყველას, ვინც შეაშფოთებს მცხოვრებლებს, ვინც ყალბი ცნობებით ან სიტყვებით ან საგაზეთო წერილებით ეროვნულ კლასიურ ბრძოლის გამოწვევას შეეცდება.

ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორი გენერალი კუკ-კოლისი. 6 ივლისი, 1920 წ,

ბათომი. 5 ივლისს ბათომში შედგენილი სახალხო გვარდია ერთი ბატალიონის შემადგენლობით ტყვიისმფრქვეველთა კომანდასთან ერთად, ბატალიონის კომანდირ კვაშალის მეთაურობით ბათომის მიდამოებში, ბარცხანის ახლო, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს ვ. ჯუღელს მიეგება. ვ. ჯუღელმა სახალხო გვარდიელებს მისასალმებელ სიტყვით მიმართა და დაახასიათა ბათომის მნიშვნელობა საქართველოსთვის. ყველაზე უფრო ძვირფასი გამარჯვება საქართველოს დემოკრატიისა არის უკანასკნელი გამარჯვება, ესე იგი დაბრუნება ბათომისა, რომელიც ყოველთვის ორგანიულად იყო საქართველოსთან დაკავშირებული. ვალ. ჯუღელის შემდეგ მათ მისასალმებელ სიტყვით მიმართა დამფ. კრ. წევრმა ვლასა მგელაძემ, რომელმაც ბათომის პროლეტარიატს გაახსენა, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის აკვანი იყო ბარცხანა და ქალაქი, სადაც ბათომის მუშები ხალხის თავისუფლებას სჭედდნენ. დიდძალმა საზოგადოებამ, რომელიც აღლუმს დაესწრო, სახალხო გვარდიელები ყვავილებით დაფარა. გვარდიელები თავის სამხედრო საქმის ცოდნით გაკვირვებას იწვევენ.

კის ქალაქთა მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა და ის ტექსტები, რომლებიც ამავე დღეს იქნა განხილული ქალაქების სესხის შესახებ.

„წითელ" ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

ბოლშევიკები თავისას არ იშლიან... ბაქოს ბოლშევიკები განაგრძობენ საქართველოს წინააღმდეგ წერას ამა თუ იმ სახით. მაგ., 30 ივნისის „კომუნისტი" შემდეგს სწერს: „განჯაში თფილისიდან ჩამოსული ამხანაგის გადმოცემით ადერბეიჯანის ყველა კონტრრევოლიუციონერები თავისუფლად დასეირნობენ თფილისის ქუჩებში. იქ ამ ჟამად იმყოფება რაფიევი, გენ. შიხლინსკი, ნოვრუზოვი, შამხორელი ყველა ბეგები და სხ. უსუბეკოვი სტამბოლს გაემგზავრა".

მეორე ცნობას სათაურად აქვს „**შავი ბლოკი**", სადაც შემდეგი სწერია: „თფილისიდან მიღებული ცნობით ქართველ ნაციონალ-დემოკრატების პარტიასა და მუსავატის პარტიას შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულობა აჯანყების მოსაწყობათ, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ".

ასე ენერგიულად ჩასძახიან ბოლშევიკები ბაქოს მუშებს, რომ „კონტრ-რევოლიუციონური გიდრა" თფილისში და საერთოდ საქართველოშიაო. სანამ მას არ გავსჭყლეტთ, ჩვენს საქმეს ხეირი არ დაეყრებაო...

ავაზაკების თარეში. ამ სათაურით ბაქოს „კომუნისტი" (№ 50) სწერს: **კავკავი, 29 ივნისი.** 24 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის ჯარები გადავიდნენ რა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე ზაკვინის ულელტეხილით, ავაზაკურათ თავს დაესხენ მშვიდობიან მცხოვრებთ და გარეკეს მათი შინაური პირუტყვი. მოკლულ ყაჩაღებს შორის ქართველებთან ერთად აღმოჩნდა ყაზახთა გვამები სუნჟენის რაიონიდან, რომლებიც, უეჭველია, საქართველოში შეხიზნული დენიკინელებიაო".

აქ ბოლშევიკები ცდილობენ იმის „დასაბუთებას", რომ საქართველო თავს ესხმის საბჭოთა რუსეთს დენიკინელებთან შეკავშირებით. ასეთი ტყუილებით ფიქრობენ, ადვილათ ასამხედრებელი იქნება ხალხი საქართველოს წინააღმდეგო.

წინად მოღალატე, ახლა ერთგული, ბაქოს „კომუნისტის" გადმოცემით, ცნობილი მწერალი, უკრაინის მენშევიკების ბელადი და ცენტრალური ბურჟუაზიული რადის თავმჯდომარე ვინიჩენკო გადავიდა კომუნისტების პარტიაში".

წინად ბოლშევიკების ენით მენშევიკობა და ბურჟუაზიული რადის თავმჯდომარეობა სალანძღავი სიტყვები იყო. ახლა ეს გალანძღული ადამიანი მიიღეს, მაგრამ მაინც დასძინეს, როგორც რუსები იტყვიან,—რომ ის არის **съ прошлымъ**-ო.

ბაქოს „კრასნაია ზვეზდაში", რომელიც გამოდის რუსულ ენაზე, სათაურში წარწერა აქვს, ალლახმა უწყის რისთვის, თათრულად: „სატირულ ენციკლოპედიურ სიტყვარის განყოფილებაში". ახსნილია სიტყვა „პური". **პური** ის პროდუქტია, რომელსაც მუშები მიირთმევენ მუდამ, ბურჟუები კი მაშინ, თუ ისინი იმყოფებიან ბაილოვში ან შემახინკაში-ო.

ესე იგი, ბურჟუები ციხეში გვყავს გამომწყვდეული, მუშები კი კარგათ ცხოვრობენო.

მართალია ეს? ამის პასუხს ბაქოელი იუმორისტი მიიღებს ხარკოვის „კომუნისტიდან", რომლის მე-127 ნომერში თ. ოდინცოვი სწერს; „ვინ არის დამნაშავე? ყოველდღე მოწამე ვარ სამწუხარო სურათისა. პროლეტარულ ტანისამოსში გამოწყობილი ხალხი, რომელნიც თავს უწოდებენ წითელ არმიელებს, დადიან ეზოებში და თხოულობენ სულის ჩასაპურებლათ პურის ნატეხს—ამბობენ, რომ რამდენიმე დღეა არა თუ გვიჭამია პური, თვალითაც არ გვინახავსო. ყველაზე უფრო ხშირად ასეთ სურათებს ნახავთ ხარკოვის ერთ უბანში (ივანოვკაში), სადაც მოდიან და ჩერდებიან ეშელონები." წერილის ავტორს დაუკითხავს ზოგიერთი „ამხანაგებისათვის." მათ უპასუხნიათ, რომ წითელარმიელებს სულზე ეძლევა დღეში თითო გირვანქა პური. მათხოვრები, დეზერტირები ან შეუგნებელი ელემენტები არიანო.

ჩვენ კი დავსძენთ—შეიძლება კონტრრევოლიუციონერებიც იყვნენ, მაგრამ ერთი აშკარაა: სული ამოსდის შიმშილით საბჭოთა რუსეთში როგორც ბურჟუაზიას, ისე მუშას, აგრეთვე წითელარმიელებს იმიტომ, რომ რუსეთში დამყარდა „სოციალიზმი."

სპეკულიაცია გემებზე. მეზღვაური გ. ბარიშკოვი სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა მიმართ, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: „სამწუხაროთ ყველაფერი რიგზე არ არის ჩვენ შორის. ზოგიერთ გემებზე, რომლებიც დადიან კასპიის ზღვის სხვადასხვა ნავთსადგურებში, განვითარებულია სპეკულიაცია მთელი თავისი სიგრძე-სიგანით და ეს იმ დროს, როცა გემებზე არიან პასუხისმგებელი დელეგატები. გააქვთ აქედან ქიშმიში, ჩაი, მედიკამენტები და სხ. გემებზე მეზღვაურები ხშირად საქმეს ეკიდებიან უგულოდ—ყველგან უსუფთაობაა და დაუდევრობა. („კომუნისტი "№ 52).

ქურდი ზოგჯერ შინაურობაში აღმოჩნდებაო—ნათქვამია!..

ბოლშევიკური „სუბოტნიკი". ვინმე დ. კრიმსკი „კომუნისტში" სწერს: „... მაგრამ საჭიროა ვიზრუნოთ, რომ სუბოტნიკის მონაწილეთ არ მოუხდეთ ორ-ორი საათობით ლოდინი, ვიდრე სამუშაოზე დანიშნავდნენ და შემდეგ კი, როცა სამუშაოზე მივა, სამუშაო ვერ იშოვნოს. ასე მოხდა შავქალაქში. მოდიოდნენ უთვალავი რიცხვი რაზმებისა, რომელთათვის სამუშაო არ აღმოჩნდა. დაიწყეს ცოცხების ძებნა, რომ დაეგავათ, მაგრამ ვერ იშოვეს და სხ"...

ნათქვამია—თუ **ფეხებს** ძალა ადგია, ეს **თავის** ბრალიაო. ეს ჭეშმარიტება, უეჭველია ჯერ კიდევ არ აქვთ შეგნებული ბაქოს კომუნისტებს. ან კი რა ენაღვლებათ კომუნისტის **თავებს** მუშების **ფეხები**...

„წითელი" ადერბეიჯანის პროტესტი. ადერბეიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა და განსაკუთრებულ სრულ უფლებიან წარმომადგენელმა—დ. ჰუსეინოვმა შემდეგი პროტესტით მიმართა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ასლი გაუგზავნა მოსკოვში ჩიჩერინს, თფილისში—სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბეგზადიანს და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს კიროვს: „მიღებული ცნობების თანახმად სომხეთის ჯარები ზანგიბასარის დარბევისა და მის მუსულმან გლეხებისაგან გაწმენდის შემდეგ განაგრძობენ თავდასხმას ნახიჩევან შარურის რაიონზე. მეორე მხრივ სომხეთის რეგულიარული ნაწილები უკანასკნელ ცნობების თანახმად თავდასხმას აწარმოებენ ყაზახის მაზრაში; 5 ივლისს, დილის 4 საათზე მათ დაუკავებიათ სოფ. კარაჩიშლაგი. სომხეთის მთავრობის ასეთი აგრესიული მოქმედება და ისიც მას შემდეგ, რაც 2 ივლისს შეთანხმება მოხდა იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნეს უახლოეს დროში ქ. ყაზახში სომხეთისა და საბჭოთა ადერბეიჯანის წარმომადგენელთა კონფერენცია ყველა სადაო საკითხების მოსაგვარებლათ,—ასეთი მოქმედება ძირითადათ ეწინააღმდეგება აღნიშნულ შეთანხმებას. ჩვენს მთავრობას არ შეუძლია არ შეხედოს ამ მოქმედებას, როგორც ომის დაწყებას საბჭოთა ადერბეიჯანის წინააღმდეგ და მოითხოვს ყოველგვარ თავდასხმის შეწყვეტას სომხეთის ჯარების მხრივ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი მთავრობა იძულებული იქნება აღნიშნოს, რომ 2 ივლისს მომხდარი შეთანხმება დარღვეულია და მომავალში იგი თავისუფალი იქნება თავის მოქმედებაში".

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

განკითხვის მოლოდინში. ხარკოვის უპარტიო მუშათა კონფერენციაზე, სადაც ირჩეოდა ბურჟუაზიის ბინების გაჩხრეკისა და ამ ბინებზე მუშების გადასახლების საკითხი, ერთ მუშას განუცხადებია: „მუშებს ეშინიათ ბურჟუაზიის ბინებზე გადასახლებისა. მათ ეშინიათ, ვინაიდან საბჭოთა მთავრობის ჩამოგდების შემდეგ მათ არა თუ გააძევებენ ამ ბინებიდან, არამედ ჩამოახრჩობენ კიდეცო".

მოჰყავს რა ხარკოვის „პროლეტარში" ბორის ვოლინს მუშის ეს სიტყვები, ამტკიცებს ვრცელ წერილში, რომ საბჭოთა მთავრობა იარსებებსო და სხ.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

მეომრების ჩაწერა პოლონეთის ფრონტისათვის. ხარკოვის „პროლეტარი" სწერს: „პატარა ქარხანაში მიტინგია. ხელი აიღეს მუშებმა მუშაობაზე, დგანან უსუფთაონი და ბოროტნი სიმშილისაგან. სულ იქნება 50—60 კაცი".

ამის შემდეგ მოთხრობილია თუ როგორ მოუწოდა ორატორმა ჩაწერილიყვნენ მოხალისეებათ პოლონელების წინააღმდეგ. აი რას უპასუხებენ მუშები:

„მშიერისთვის სულ ერთია, ლუღლუღებს ბოროტი და დატანჯული სახის გამომეტყველების მოხუცი".

ორატორი განაგრძობს.

მეორე მუშა უპასუხებს.

„შეხედეთ, კომისარს თითონ ეშინია გლეხთან თითონ მივიდეს, ახლა ჩვენ გვეპირებს გავზავნოს".

შემდეგ მუშა ამბობს:

„აი შენ, ჩემო ბებიავ, იურის დღესასწაული! ახლა არა თუ პური აღარ გვექნება, არ გვექნება აგრეთვე ფულიც"!.

ასეთი შენიშვნებით ჩატარდა ეს მიტინგი, მაგრამ დაბოლოს, როგორც ავტორი გადმოგვცემს, თურმე შემოეხვივნენ გარს მუშები და ყველანი ჩაეწერენ.

უეჭველია, შესძლეს კომუნისტებმა მუშების „მორჯულება" ჩვეულებრივი ზომებით..

წინეთ კორნილოვის მომხრე, ახლა კომუნისტი. კორნილოვის სახელობის მესამე დამკვრელი პოლკის შტაბს-კაპიტანი დიმიტრი ბოგოლეპოვი „პროლეტარში" მოუწოდებს ოფიცრობას ემსახურონ მუშათა და გლეხთა მთავრობას პოლონელების წინააღმდეგ. სწერს: „ამხანაგებო, იმის გარდა, რომ ცოდვა და სირცხვილიც არის ერთმანეთის მოკვლა იმისთვის, რომ გავამაგროთ რუსი კაპიტალისტების ჯგუფი, ამას გარდა ჩვენც და საბჭოთა რუსეთსაც ამ ჟამად ჰყავს მტერი მსოფლიო კაპიტალიზმის სახით და სხ. პოლონელების გამარჯვება რუსეთზე კი იქნებოდა ეკონომიურ დაბეჩავებასთან ერთად, პოლიტიკური დაბეჩავებაცო"...

ბევრ ასეთ სოციალისტურ აზრებს გამოსთქვამს კორნილოვის გუშინდელი აფიცერი. როგორის სისწრაფით მიისწრაფის რუსი ხალხის შავრაზმული ნაწილი სოციალიზმის გზაზე?!.

როგორი ხალისით მიეშურებიან რუსი გლეხები? ბაქოს „კომუნისტი" სწერს: „მოსკოვი, 2 ივლისი. ტულის მაზრის სამ ვოლოსტს, რომელთაც დეზერტირები დამალეს დადო 38 მილიონი მანეთი კონტრიბუცია". (№ 52)

ეს არის საბჭოთა რუსეთის სინამდვილე, ასე ერთსულოვნად იბრძვის წითელი გლეხობა!

თაფლის ბეგარა. [მოსკოვი. შემოღებულ იქნა მთელს რესპუბლიკაში თაფლით დაბეგვრა მცხოვრებთა ყველა კერძო პირი იქნება თუ საზოგადო დაწესებულება, ვინც მისდევს მეფუტკრეობას, ვალდებულია თითო სკიდან 6 გირვანქა თაფლი მოიტანოს დანიშნულ ადგილას.

ფასებს თაფლზე აწესებს „ნარკომპროდი" „ნარკოზემოსთან" შეთანხმებით.

მონოპოლია პურზე. კავკავი. „პროდკომოზის" ყრილობამ გადასწყვიტა გამოაცხადოს ოლქში პურის მონოპოლია და დააწესოს მტკიცე ფასები. ახალ მოსავლამდე პურის დამზადება არ დაიწყოს, მიეცეს სოფლების მცხოვრებთ მტკიცე ფასებში შემდეგი ფაბრიკატები: წუმწუმა, საპონი, თუთუნი, მარილი, მანუფაქტურა, გადაწყვეტილია აგრეთვე ნაწილდებოდეს მცხოვრებლებში ხორცი, ერბო, კვერცხი. („კომუნისტი" № 52).

ქაღალდზე დაბეგვრა, ცხოვრებაში დარბევა, სიტყვით მონოპოლია, საქმით დატაცება,—ეს არის საბჭოთა მთავრობის მუშაობის დევიზი?..

დეზერტირობა წითელ-არმიაში. ხარკოვი. გუბისპოლკომმა დაადგინა მიიღოს სასტიკი ზომები დეზერტირ არმიელების წინააღმდეგ. შეპყრობილი დეზერტირები სასამართლოს გადაეცემიან. („პროლ." № 8).

აკი სწერდნენ—წითელ არმიაში დეზერტირები არ არიანო...

სად არიან შეფარებული არა მშრომელნი? ამ ჟამად ხარკოვში სწარმოებს არა მშრომელთა რეგისტრაცია. უსაქმურებმა შეიტყეს რა ეს, მოაწყდნენ საბჭოებს და ითხოვენ სამსახურში მიღებას და ამით სურთ რეგისტრაციას ასცდნენ. გუბისპოლკომის პრეზიდიუმი მოუწოდებს საბჭოების ყველა დაწესებულებებს არ მიიღონ სამსახურში ახალი პირები, რეგისტრაციის მოხდენამდე. („პროლ." № 8).

მცხოვრებთა გაჩხრეკა-დარბევის შემდეგ. 5—6 ივნისს ღამით მცხოვრებთა გაჩხრეკა-დარბევის შემდეგ ხარკოვში „პროლეტარ"-ში (№ 8) შემდეგი განცხადებები დაიბეჭდა: „მასსიურ ჩხრეკის დროს ზოგიერთ ექიმებს, რომელთა გვარებიც გამოცხადებული იქნება, აღმოაჩნდათ დიდძალი ფული, მანუფაქტურა და სხვა, რაც მოწმობს, რომ ისინი სპეკულიაციას ეწევიან. თავის თავად ცხადია, რომ ესენი პარაზიტულ ელემენტებათ ჩაითვლებიან.

— „გუბისპოლკომის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ზოგიერთმა პირებმა 5—6 ივნისს დაბეჭდილი სახლებს ლუქები აყარეს. გუბისპოლკომი კატეგორიულათ აცხადებს, რომ ის „დომკომები" რომელთაც ეს ჩაიდინეს, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი."

— „გუბისპოლკომი აცხადებს, რომ ის ავეჯეულობა, რომელთა კონფისკაცია მოხდა 5—6 ივნისს, დაუყონებლივ უნდა მიტანილ იქნას მიმღებ კომისიაში. ყოველგვარ განცხადებებს მიმღები კომისია გაარჩევს, თუ ვისიმე თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება ავეჯის დაბრუნების შესახებ, იგი დაუყონებლივ სისრულეში იქნება მოყვანილი".

ტფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

7 ივლისი.

ბათომი. საზღვარ გარეთის ფირმების ბათომის განყოფილებანი თავის მთავარ საწყობებს დეპეშით ატყობინებენ, რომ გამოგზავნონ საქონელი ამიერ-კავკასიისათვის.

ქართული ბონების ტრიალი ბირჟაზე ამიერ-კავკასიისას უდრის. მოელიან ამიერ-კავკასიის მანეთის ანგარიშზე საქართველოს მანეთის აწევას.

მოვიდა ქართული წითელი ჯვრის საგანგებო რაზმი. იმ მიზნით, რომ აჭარლებს დახმარება აღმოუჩინონ, ქედაში დიდი ლაზარეთი იქნება გახსნილი. მგზავრობის დროს რაზმი დახმარებას უწევდა მცხოვრებლებს, რომელნიც თავის მხრივ მას დიდ მადლობას უხდიდნენ.

მოსკოვი. „იზვესტია" (№ 132) იუწყება, რომ რუს. ცენ. აღმ. კომ. სესიის სხდომაზე საბჭოთა გზების შესახებ მოხსენება გააკეთა მედვედევმა, რომელმაც განაცხადა, რომ რკინის გზის აღმშენებლობით მუშაობაში არ არის მთლიანი გეგმა და აღინიშნა შრომის ნაყოფიერების დაცემა, დაშლა და რკინის გზის ტრანსპორტზე მომუშავეთა სრული დაუდევრობა.

ბაქო. საბჭოთა რუსეთის და ადერბეიჯანის შორის საბაჟო საზღვრები სრულიად ისპობა. საგარეო ვაჭრობის ყველა კითხვებს რუსეთის უმაღლესი „სოვნარხოზი" გაარჩევს.

მოსკოვი. კავშირთა სასახლის დარბაზში პროფ. კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს სასწრაფო სხდომა მოხდა. სხდომაზე განიხილეს ყოფა-ქცევა მბეჭდავთა კავშირის გამგეობისა, რომელიც საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კომპანიას აწარმოებდა. წაკითხულ იქნა კავშირის დეკლარაცია. მომხსენებელი ანდრეევი ამტკიცებდა, რომ გამგეობაში მენშევიკები არიან მოკალათებულნიო. ამიტომ მოსკოვის საგუბერნიო საბჭომ დაადგინა: დაითხოვოს მოსკოვის გუბერნიის მბეჭდავთა კავშირის განყოფილების გამგეობა. ამავე სხდომაზე განიხილეს მებულკეების საქციელი, რომლებიც ყოველ დღე 3 გ. პურს გარდა, კიდევ ე. წ. დამატებით ჩაის წილს დაახლოვებით 3 გირ. პურს იღებენ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს „სისტემატიურ ბოროტმოქმედებისთვის" გამო დაშლილ იქნეს მებულკეთა სექცია.

პარიზი. გერმანიის ხალხთა ლიგაში შესვლის საკითხის გამო ლოიდ-ჯორჯსა, კლემანსოსა და სხვა წარმომადგენლებს შორის ცხარე კამათი გაიმართა. საფრანგეთი მომხრეა გერმანიის ხალხთა ლიგაში შესვლისა.

ტულა. პლეხანოვის სადგურთან დაიმსხვრა მატარებელი. დაიღუპა 250 კაცამდე. დაიღუპა აგრეთვე ძვირფასი ბარგი. მთავარმა რევოლ. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ მატარებლის დამსხვრევა იყო შედეგი ტეხნიკურ დაუდევრობისა და პერსონალის გულგრილობისა. დამნაშავეთ იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს ორი წლიდან 8 წლამდე.

ნიუ-იორკი. დამოკიდებულება ამერიკასა და ინგლისს შორის თანდათან მწვავდება. განსაკუთრებით მდგომარეობა გამწვავდა ამერიკის სენატის მიერ უკანასკნელი რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ, რომელიც ამერიკის დელეგატებს წინადადებას აძლევს, მიიღონ ზომები, რათა ინგლისის მთავრობამ ირლანდიელ რესპუბლიკანელებს მოუსმინოს. ლოჯმა სენატში განაცხადა: მართალია, უხერხულია, რომ ამერიკა ინგლისის შინაურ საქმეებში ჩაერიოს, მაგრამ ხალხთა ლიგა ამერიკას აიძულებს ევროპაში დაიცვას წონასწორობაო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამერიკა ერევა შინაურ მართველობაში ევროპის კონტინენტზე. დამოკიდებულება ინგლისსა და ამერიკის შორის უფრო განწვავდება, თუ ამერიკამ სულ მოკლე ხანში საზავო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა. ხალხთა ლიგის მოწინააღმდეგენი სენატში აცხადებენ, რომ ამერიკა დამოუკიდებელ კონტროლის უფლებას საბოლოოდ დაკარგავს თუ ხალხთა ლიგა დამტკიცებულ იქნაო. სხვათა შორის, ამერიკის პრესსა აღნიშნავს, რომ ამ ჟამად, ინგლისის შეურიგებელი მტრები არიან სენატის სწორედ ის წევრები, რომლებიც პირველად მომხრენი იყვნენ ინგლისის ამერიკის ომში ჩარევისა და საფრანგეთის დასახმარებლათო. ახლა ისინი აცხადებენ, რომ ინგლისს არ შეუძლია დააფასოს სავსებით ამერიკის მიერ გაწეული დახმარება, რომელიც ევროპის დემოკრატიის გადასარჩენათ იყო მიმართული. სენატის ოპოზიცია, რომელიც წინააღმდეგია ამერიკის ევროპის საქმეებში ჩარევისა, ყოველ-დღე იზრდება, მაგრამ ამასთანავე ხალხთა ლიგის მომხრეები სასტიკ კომპანიას აწარმოებენ, რათა საზოგადოება ხალხთა ლიგის დამტკიცების აუცილებლობაში დაარწმუნონ.

პარიზი. „ეხო დე პარი" გადმოგვცემს ვარშავის გაზეთების ცნობებს: გერმანიის მზადება პოლონეთის წინააღმდეგ დასრულდა. 18 გერმანელების დივიზია მზათ არის პოლონეთის საზღვრები გადალახოს. მათ შორის, 6 დივიზიამ დომბროვის მაღაროები უნდა დაიკავოს 6-მა მლავის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს, დანარჩენმა 4-მა კი სუვალკის რაიონში უნდა იმოქმედოს.

ლონდონი გაზ. „დეილი ქრონიკლ"-ში მოთავსებულ წერილში სერ გიპსი სწერს: „ბერძნები ოსმალეთის ტერიტორიას სამართლიანად მართავენ. სმირნის პრეფექტი ოსმალოა. ყველა ოსმალო, მუნიციპალური მოსამსახურე თავის ადგილზეა დატოვებული. საბერძნეთის მართველობის დამკვიდრების ფაქტი ოსმალებმა მშვიდათ მიიღეს.

ბათომი. დღეს მიღებულია გენერალ ვრანგელის მიერ კონსტანტინოპოლში მყოფ რუსეთის წარმომადგენლობასთან გაგზავნილ დეპეშის ასლი: „ეს დეპეშა გაგზავნილია რადიოთი სევასტოპოლიდან და მიღებულია კონსტანტინოპოლში „ინდოეთის იმპერატორის" მიერ. 5 ივლისი: დღევანდელი დღე არის არაჩვეულებრივი დღე სამხედრო ტაქტიკის ისტორიაში. ჩვენი კავალერიის შეტევით ჟლობის მთელი კავალერიის კორპუსი, რომელიც 18 პოლკიდან შესდგებოდა, გარშემორტყმულ იქნა. მტრის კავალერია მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა ჩვენი რკალის გარღვევას. ბოლშევიკური კავალერია დავამარცხეთ ჩვენი ჯავშნიან მატარებელთა ცეცხლით. ჯარებისა და თვითმფრინავების საშუალებით ჟლობის კორპუსი განადგურებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ვინაიდან მხოლოდ 1500 კაცმა გაარღვია წრე. ბრძოლის ველი, რომლის რგოლი 20 ვერსს უდრიდა, მოფენილია მოწინააღმდეგის დახოცილ გვამებით. ჯერ-ჯერობით დათვლილია 1000 ტყვე. ხელთ ვიგდეთ არტილერია 40 ზარბაზნით და რამდენიმე ასი ტყვიის-მფრქვეველი. კორპუსის მთელი აბოზი ხელში ჩაგვივარდა. მე-210-თე ბოლშევიკურ პოლკის კამანდირი მთელი შტაბით დავატყვევეთ. ხელს აწერს ადმირალი სეიმური.

ბათომი. 6 ივლისს საღამოს გემ „მარგარიტა"-თი ყირიმს გაემგზავრა 1,500 რუსი ლტოლვილი. ამავე გემით გაემგზავრა გენერალ ვრანგელის წარმომადგენლობა. ყირიმში გაემგზავრა აგრეთვე ყაბარდოს ყოფილი მმართველი ბეკოვიჩ-ჩერკასკი. ნავთსადგურში მყოფი მოხალისეთა ნაღმოსანი „ჟარკი" და წყალქვეშა ნავი „უტკა" დღეს სევასტოპოლს მიდიან.

ოდესა. ივლ. 5. უნგრეთსა და რუმინეთს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია.

ოდესა. 6 ივლ. უნგრეთის მთავრობამ

სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი წესწყობილება

(იხ. ერთ. № 151)

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ **დემოკრატიულ რესპუბლიკას.** ის ფედერატიული ანუ საკავშირო სახელმწიფოა. კავშირში ორმოცდაათზე მეტი შემადგენელი ავტონომიური სახელმწიფოა, რომელიც დემოკრატიულ რესპუბლიკის საფუძველზეა აშენებული.

შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი ფორმა—საკავშირო დემოკრატიული რესპუბლიკა პირველად მიიღო 1787 წლის კონსტიტუციამ, რომელიც ასე იწყება.

„ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი ვსცემთ და ვამტკიცებთ ამ კონსტიტუციას ამერიკის შეერთებულ შტატებისთვის, რომ შევქმნათ უფრო სრული კავშირი, განვამტკიცოთ მართლმსაჯულება, უზრუნველვყოთ შინაური მშვიდობიანობა, ავამაღლოთ საყოველთაო კეთილდღეობა და მივანიჭოთ როგორც თვითონ ჩვენ თავს—ისე ჩვენს შთამომავლობას თავისუფლების სიკეთენი".

შეერთებული შტატები პრეზიდენტული რესპუბლიკაა. მას **ჰყავს არჩეული პრეზიდენტი,** როგორც წარმომადგენელი და მეთაური სახელმწიფოსი.

პრეზიდენტი ირჩევა ოთხი წლით ხალხის მიერ, მაგრამ არა პირდაპირად. შტატების ამომრჩევლები ირჩევენ ამომრჩეულებს, ხოლო უკანასკნელნი ირჩევენ პრეზიდენტს. იგი პასუხის მგებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივი ღალატისა—და მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

პრეზიდენტის უფლებაა: მოწვევა პალატების საგანგებო სესიისა, რადგან ჩვეულებრივად პალატები თვითონ იკრიბებიან, გადადება სესიისა, საკანონმდებლო ინიციატივა და სხ. აგრეთვე უფლება აქვს დაუბრუნოს კონგრესს (პარლამენტს) მიღებული კანონი მეორეჯერ განსახილველად. ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს, ელჩებს და სხვა მაღალ მოხელეებს და სდებს ხელშეკრულობას სენატის თანხმობით; იწყალებს; ბრძანებლობს მთელ შეიარაღებულ ძალას.

დემოკრატიული თავისუფლება უზრუნველყოფილია. პიროვნება, ბინა ხელშეუხებელია. არის სრული უფლება სიტყვისა, რწმენისა, სარწმუნოებისა, კრებისა, კოალიციისა და სხ.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის **კონგრესს** (პარლამენტს), რომელიც შეიცავს ორ პალატას—წარმომადგენელთა პალატა და სენატი. კანონმდებლობაში უპირატესობა გადახრილია წარმომადგენელთა პალატისკენ. ხოლო მართვა-გამგეობის საქმეში და საერთაშორისო ურთიერთობაში მეტი ხმა აქვს სენატს.

პალატას ირჩევს მთელი შეერთებული შტატების ხალხი ორი წლის ვადით. არის საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება. ასეთი უფლება მათ აქვთ მოპოვებული მხოლოდ ზოგიერთ შტატებში, ადგილობრივ პარლამენტებში. დეპუტატად აირჩევა ყოველი ამომრჩეველი, მხოლოდ საჭიროა რესპუბლიკის სულ უკანასკნელი შვიდი წლის მოქალაქედ ყოფნა, არჩევის დროს სათანადო შტატში ცხოვრება და 25 წლის შესრულება.

სენატი კი ირჩევა ექვსი წლით, ახლდება მხოლოდ ნაწილობრივად და არა ერთიანად: ყოველ ორ წელიწადში ირჩევა მთელი შემადგენლობის მესამედი ნაწილი. თითეული შტატი ირჩევს ორ სენატორს. სრული თანასწორობაა დაცული, მიუხედავად შტატთა მეტ-ნაკლებობისა. მათ ირჩევს არა პირდაპირ ხალხი, არამედ შტატების საკანონმდებლო კრებები. სენატორად შეიძლება იყოს რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, რომელსაც შესრულებია 30 წელი, საცხოვრებელი ბინა აქვს თავის შტატში და 9 წელზე მეტი ითვლება რესპუბლიკის მოქალაქედ.

არსებობს დეპუტატის იმუნიტეტი ანუ შეუვალობა. დაჭერა და შეპყრობა დეპუტატის არ შეიძლება, თუ არ ზედ დანაშაულზე მისწრების და მძიმე დანაშაულის დროს.

დეპუტატებს ეძლევათ გასამრჯელო.

შეკითხვის უფლება მთავრობისადმი არ არსებობს, ვინაიდან მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პრეზიდენტის და არა პარლამენტის წინაშე. ისინი არც შედიან პალატაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამოსამართლო ხელის უფლება შეერთებულ შტატებში ურთიერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. ეს არის **ხელმწიფება განაწევრებული დემოკრატია.** ასეთ დემოკრატიაში პოლიტიკური პასუხისმგებლობა და პარლამენტარიზმი შეუძლებელია.

იურიდიული პასუხისმგებლობას პალატის წინაშე ატარებს ყველა მაღალი თანამდებობის პირი, მინისტრი და თვით პრეზიდენტიც. მათ ასამართლებს სენატი. ეს არის Impeachmat, რაც მათ ბრალდებათ ღალატი, მოსყიდვა და სხვა დანაშაული.

სამოსამართლო ხელისუფლებას ანხორციელებს უმაღლესი სასამართლო, რომლის წევრებს სენატის თანხმობით ნიშნავს პრეზიდენტი. ეს ფედერალურათ სასამართლოა. საყურადღებო ის არის, რომ სასამართლო შეერთებულ შტატებში კონსტიტუციის დარაჯია და აუქმებს ყოველივე იმას, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამნაირათ იგია კონსტიტუციის ამხსნელი და განმმარტებელი. ეს იშვიათია სახელმწიფოთა კონსტიტუციურ ცხოვრებაში.

პრეზიდენტი შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მეორეჯერ. ეს საკითხი გადასწყვიტა პოლიტიკურმა ტრადიციამ და ჩვეულებითმა უფლებამ. ამაზე კონსტიტუციაში არაფერი სწერია. შეუთავსებლობა გატარებულია. მინისტრის მოვალეობა შეუთავსებელია დეპუტატის მოვალეობასთან.

სახელმწიფო ხელისუფლებათა წონასწორობა სავსებით დაცული არ არის. პრეზიდენტის ხელისუფლება ერთობ დიდია. ის მეტს ნიშნავს რესპუბლიკაში, ვიდრე კონსტიტუციური მეფე მონარქიაში. განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაიზარდა პრეზიდენტის პოლიტიკური მნიშვნელობა.

სახელმწიფო და ეკლესია ყველგან დამოუკიდებელნი არიან.

კონსტიტუციის გადასინჯვა აქ სულ სხვანაირად ხდება. გადასინჯვის მომხრე უნდა იყოს ორივე პალატის წევრთა $^2/_3$-დი ან ყველა შტატის $^2/_3$-დის საკანონმდებლო კრებები. კონსტიტუციის შეცვლა უნდა დაამტკიცოს ყველა შტატის საკანონმდებლო კრებათა $^3/_4$-დმა ან შტატების $^3/_4$-დის საგანგებოდ მოწვეულმა კონვენტებმა იმის და მიხედვით, თუ დამტკიცების რომელ გზას მიემხრობა კონგრესი.

როგორც ითქვა, ამერიკის ეს უდიდესი და უმძლავრესი დემოკრატიული რესპუბლიკა ფედერაციას წარმოადგენს. ის დეცენტრალისტური სახელმწიფოა. კავშირის ყოველი წევრი დამყარებულია ხალხის სუვერენობასა და თვითმართველობაზე. ყოველი შტატი ავტონომიურია შინაურ საქმეებში. ადგილობრივი თვითმართველობა, კომუნალური წყობილება დაწინაურებულია, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც ეს მოსალოდნელია დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. თვითმართველობის უფლების გაფართოებისათვის მოძრაობაა ჩრდილო ამერიკაში.

შეერთებული შტატების კონსტიტუცია უზრუნველყოფს თვითეული შტატის მართვა-გამგეობის რესპუბლიკანურ ფორმას.

ახალი შტატები კონსტიტუციის ძალით მიიღებიან ფედერაციაში. ეს იქნება მიღება თანასწორობის პრინციპის ნიადაგზე. მაგრამ ჩრდილო ამერიკას ეკუთვნის ისეთი ადგილები, ტერიტორიები, რომელნიც მოკლებულნი არიან თანასწორობის უფლებას და ემორჩილებიან კავშირს, როგორც კოლონიები.

თანამედროვე ჩრ. ამერიკის შტატები იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებენ. მათ აღარ აკმაყოფილებს მონროეს ლოზუნგი: **ამერიკა ამერიკელებისთვის.** ისინი დიდ მეტოქეობას უწევენ ევროპის და აზიის ყველა ძლიერ იმპერიალისტურ ქვეყანას.

დიდი კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყანაა. მრავალრიცხოვანი პროლეტარიატია თავის ძლიერი ეკონომიური ორგანიზაციებით. ის შედარებით პოლიტიკურად და სოციალისტურად ნაკლებათ განვითარებულია. თანდათან ღონიერდება მუშათა პარტია, რომელიც საპატიო ადგილს იჭერს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სადაც დღევანდლამდე ბატონობს და ერთმანეთს ეცილება პოლიტიკურ ხელისუფლებისთვის ორი მეტოქე ბურჟუაზიული პარტია, სახელწოდებით დემოკრატიული და რესპუბლიკანური.

ნ. საქარელი.

წინადადება მისცა პოლონელებს შეკავშირდნენ ჩეხო-სლოვაკების წინააღმდეგ.

მოსკოვი. ივლ. 6. ლონდონში კრასინის მოლაპარაკება სასურველად მიმდინარეობს. რასინი მრავალ წინადადებებს იღებს სხვადასხვა ფირმებისაგან რუსეთში მანქანისა და საქონლის მოტანის შესახებ.

კონსტანტინოპოლი. გაზეთი „სტამბოლი“ იტყობინება, მოკავშირეებს განზრახვა აქვთ ბოსფორში ზოგიერთი ფორტი მოსპონ. ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება მე-177 და 178 პარაგრაფით კონსტანტინოპოლის ყველა სრუტის განიარაღებასა და მოსპობას მოითხოვს იმ ფორტების გამოკლებით, რომელთაც არქეოლოგიური ღირებულება აქვს და სამხედრო მნიშვნელობას მოკლებულნი არიან. ყველა ფორტი, რომელიც კი 1700 წლამდე არის აშენებული, არქეოლოგიურად მიიჩნიეს. მაგრამ ამ ჟამად აღიძრა საკითხი იმის გამო, რომ არქეოლოგიურ სიმაგრეებიდანაც შესაძლებელია ზოგიერთ პატარა გემებს ესროლონ. ამიტომ ისინი სამხედრო საშიშროებას წარმოადგენენ. აღძრულია საკითხი საზავო ხელშეკრულებაში სათანადო მუხლების შეცვლის შესახებ.

კოპენჰაგენი. ინგლისის საზღვაო ძალები 2 ჯავშნიან გემის და 7 ნაღმოსნის შემადგენლობით ამირბარ როდჟერ კეისის ხელმძღვანელობით შვეციის წყლებისაკენ გაემართენ. ამ მანიფესტაციის მიზანია დაიცვას ფინეთი რუსეთის ბალტიის ფლოტის შეტევისაგან. შესაძლებლათ მიაჩნიათ, რომ რუსეთის ბალტიის წითელი ფლოტი რუსეთსა და ფინეთის შორის საზავო მოლაპარაკების წარმოების დროს გავლენის მოხდენას შეეცდება.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

7 ივლისი.

ფრანგული ცნობები.

სასოფლო მეურნეობა

საფრანგეთის პრესა იძლევა სტატისტიკურ ცნობებს, რომელიც გვაჩვენებს, რომ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ დეპარტამენტებში სასოფლო-სამეურნეო მუშაობამ ძლიერ წინ წაიწია.

ფერადი ჯარების შესახებ

რეინის ოლქის მოკავშირეთა უმაღლესმა კომისიამ გამოარკვია არა სწორი ცნობები, რომელსაც იძლევა გერმანიის პრესა ფერადი ჯარის წინააღმდეგ და გადასწყვიტა საიმპერიო კომისარს პროტესტით მიმართოს.

კონტრიბუციის საკითხი.

მოკავშირეთა ექსპერტებმა ისარგებლეს გერმანიის სამხედრო ექსპერტების მოსვლამდე კონფერენციის გადადებით, რათა პრინციპიალურათ შეთანხმებულიყვენ კონტრიბუციის განაწილების საკითხში. გადასწყვიტეს: წინადადება მისცენ ბელგიას დაიტოვოს პრიორიტეტის უფლება, იმ შენიშვნით, რომ მან ეს გადახდევინება მოახდინოს არა ერთბაშათ, არამედ ნაწილ-ნაწილად.

საზავო ხელშეკრულება ბულგარეთთან.

დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ ორშაბათს მიიღო მოხსენება ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ.

დანია და მოკავშირენი.

გუშინ დილით დანიის დელეგატმა და მოკავშირეთა წარმომადგენლებმა პარიზში ითათბირეს შლეზვიგზე დანიის სუვერენიტეტის შესახებ და დანია და გერმანიის შორის ახალი საზღვრები დააწესეს.

გერმანული ცნობები:

ფერადი ჯარის მოქმედება.

ანტანტის ცდას იმის შესახებ, რომ მას უარეყო ექსცესები, რომელიც ფერადმა ჯარმა გამოიწვია დაკავებულ ოლქებში, გერმანიის პრესა უარყოფს ზოგ შემთხვევებს გარდა და ხაზს უსვამს, რომ ოფიციალურად გამორკვეული ფაქტების უარყოფა არ შეიძლება ცარიელი სიტყვებით.

ჰაერში მფრინავთა საერთაშორისო კონფერენცია.

კოპენჰაგენში შეიკრიბა ჰაერში მფრინავთა საერთაშორისო კონფერენცია. შეიკრიბენ გერმანიის, ჰოლანდიის და ინგლისის წარმომადგენელნი, რათა მოაწყონ საჰაერო დამოკიდებულება ჰამბურგს, კოპენჰაგენსა, ამსტერდამსა და ლონდონს შუა.

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობები.

4 ივლისს ჩვენმა ჯარმა როვნო დაიჭირა, ხელთ იგდო ქონება და წამოიყვანა ტყვეები. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტრის გამაგრებული პოზიცია გაარღვია. ჩვენი ნაწილები მტერს ბრძოლით მიდევნის სად. კომაროვცისაკენ.

მეომრების მომზადება და აგიტაცია.

ორენბურგში ამზადებენ ახალ მეომრებს. გაიხსნა პოლონეთის ფრონტის სააგიტაციო შკოლა. ყოველ კვირაში იგზავნება პასუხის მგებელი ამხანაგები სოფელში სააგიტაციოთ.

სოლერა.

ყირიმის ნავთსადგური ხოლერის მხრივ არ არის საიმედო.

გაფიცვები.

სევასტოპოლის ნავთსადგურში გაფიცვები დაიწყო.

ღვინის გაყიდვის ნებართვა.

ვრანგელის მთავრობამ ყირიმში ღვინის გაყიდვის ნება დართო.

კრიზისი იაპონიაში.

იაპონიაში მრეწველობის კრიზისი იზრდება. ჯერ-ჯერობით 200,000 უმუშევრამდე ითვლება.

ვარშავის სამხედრო ციხეში.

ვარშავის სამხედრო ციხეში აჯანყება დაიწყო, გამოიწვიეს ჯარი.

კაიზერის დაჭერა.

მოგილევი. 5. ყოფილ კაიზერს ვილგელმს თავს დაესხენ მის ოთახში შევარდა ვიღაც უცნობი და ხანჯლით დასჭრა.

იაპონიის ჯარები ციმბირში.

ომსკი. 5 ივ. იაპონიის მთავრობამ ოფიციალურათ დასდო პირობა გაიწვიოს თავისი ჯარი, როგორც კი აღდგენილი იქნება წესრიგი და იაპონელ მოქალაქეთა ხელშეუხლებლობის გარანტია იქნება მიცემული. ფიქრობენ რომ იაპონიის ჯარი ციმბირში დარჩება გამოურკვეველ დრომდიო.

მთელი ქვეყნის ინტერნაციონალი.

15 ივლ. პეტროგრადში შესდგება მთელი ქვეყნის კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი.

ინგლისის კოოპერატივთა შორის.

ინგლისის კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც კოოპერატორები ძმურს სალამს უძღვნიან თავის ამხანაგებს რუსეთში, სადაც კაპიტალიზმმა ადგილი დაუთმო კოოპერაციას და მოუწოდებენ კოოპერატიულ საზოგადოებას, რომ რუსეთის სავაჭრო დელეგატებთან სავაჭრო კავშირი შეკრან.

(საბჭოთა რუს. წარმომად. არსებული პრეს-ბიუროს ცნობა).

7 ივლისი.

პოლონეთის ფრონტი. ბერეზინასა და პრიპიატს შუა მტერი მთელ ფრონტზე დავამარცხეთ. როვნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით პოლონელებმა ქალ. ალექსანდრიასკენ დაიხიეს. როვნოს სამხრეთით ქალ. ოსტროგთან ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა გადალახა რა მდინარე გორნი, დაამარცხა პოლონელები და სად. ზდოლბინოვი აიღო. ოსტროგთან დავამარცხეთ ჩვენ მტერი და ტყვეები წამოვიყვანეთ. პროსკუროვის რაიონი. ჩვენ მტრის ფრონტი გავარღვიეთ და კომაროვცი ავიღეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. ყირიმის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

ახალი ამბები

8 ივლისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება პროფ. კავშ. საბჭ. სეკრეტარიატის ბინაზე—მუშათა სასახლე.

◆ **აგრარულ რეფორმის შედეგები.** თანახმად მიწათ-მოქმედ. სამინისტროს ცნობებისა, 1919 წლის განმავლობაში მიწების ჩამორთმევასთან ერთად პარალელურად მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებდა უმიწაწყლო და ღარიბ გლეხებზე სახელმწიფო ფონდიდან მიწების გადაცემის შესახებ. თფილისის მაზრაში დასაყოფად დამზადებული იყო 24,469 დეს. მიწა, ქუთაისის მაზრაში 15,473 ქცევა, სიღნაღის მაზრაში 3,110 დეს., შორაპნის მაზრაში 149 დეს. და სხვა. ამასთანავე გადასახლების მოგვარების შესახებაც სწარმოებდა მუშაობა. ასეთი მუშაობა ჯერ კიდევ 1918 წ. მეორე ნახევარში დაიწყო. მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ 23 სოფელი არის გადესახლებული. მიეცათ 12,743 დეს. მიწა. გადასახლებულნი შემდეგ რაიონებში არიან განაწილებულნი: ლაგოდეხის რაიონში 7 სოფელი არის მოთავსებული, დარიგებულია 7,065 დეს. მიწა, ყარაიაზის რაიონში 3 სოფელია, დარიგებულია 1,200 დეს. მიწა, თფილისის მაზრის რაიონში 4 სოფელი 1,092 დეს. მიწით, გორის მაზრაში 1 სოფელია 449, 6 დეს. მიწით, თელავის მაზრაში 3 სოფელი 494, 1 დეს. მიწით, თიანეთის მაზრაში 1 სოფელი 80 დეს. მიწით, ბორჩალოს მაზრაში 1 სოფელი 155 დეს. მიწით, ახალქალაქის მაზრაში 2 სოფ. 2,183 დეს. მიწით.

◆ **აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ.** პირველ ივლისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა მიანდოს იუსტიციის მინისტრს სათანადო კანონის დამუშავება სახალხო გვარდიაში და ჯარში მთავრობის წინააღმდეგ წარმოებულ აგიტაციის შესახებ.

◆ **საქართველოს ეროვნული დროშა.** ტრენტონის (ამერიკაშია) დროშების მექარხნე კლარკმა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსს შეკითხვით მიმართა იმის შესახებ, თუ საიდან შეუძლია მას საქართველოს ეროვნული დროშის ოფიციალური აღწერილობისა და სურათის მიღება. კლარკს გაეგზავნება დროშის დაწვრილებითი აღწერა და მისი სურათი.

◆ **დამოკიდებულება ჩეხიასა და საქართველოს შორის.** სასოფლო სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო ჩეხო-სლოვაკურ თფილისში გამოფენის მომწყობმა კომისიამ მთავრობის თავმჯდომარეს აცნობა, რომ ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლებს განზრახვა აქვთ 1921 წლის გაზაფხულში საქართველოს ეროვნულ გამოფენასთან ერთად თფილისში დიდი სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-სამრეწველო ჩეხური გამოფენა მოაწყონ.

◆ **რკინის გზით გადაყვანა.** მთავრობის დადგენილებით რკინის გზაზე ნისიათ გადაყვანით სარგებლობს: სამხედრო სამინისტრო—ლიტერებით, მიწათმოქმედების გადამსახლებელი განყოფილება და შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები ციხეში დამწყვდეულთა გადასაყვან-გადმოსაყვანად. ამიტომ ყველა სამინისტროს, რომლებზედაც კი დარჩენილია ვალი, წინადადება მიეცა მათზე მითვლილი თანხა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში შეიტანონ.

◆ **პურის დამზადება.** ბადიაურის უბანში პურის მომარაგების საქმის რწმუნებული ნ. ვ. ხოჭოლავა ტფილისს დაბრუნდა. ხოჭოლავა იტყობინება, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლით ბადიაურის რაიონში 50.000 ფუთი პურის დამზადება შეიძლებაო.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი ბათომში.** 7 ივლისს ბათომს გაემგზავრა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს გამგე, რათა თვით უხელმძღვანელოს ბათომში და ბათომის ოლქში ფოსტა-ტელეგრაფის რეორგანიზაციის საქმეს. ტექნიკური შემადგენლობა ამ რამდენიმე დღის წინად წავიდა ბათომს.

◆ **თფილისის კოოპერატივის მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობამ** შრომის კომისარს შეკითხვით მიმართა: შესაძლებელია, თუ არა, რომ მუშებმა და მოსამსახურეებმა დასვენების დროს სხვა დაწესებულებაში იმსახურონო. საზოგადოების შეკითხვაზე შრომის კომისარმა უპასუხა, რომ მთავრობის სპეციალური განკარგულება აღძრულ საკითხის გამო არ არის, მაგრამ პრინციპიალურად დაუშვებელია, რომ მუშებმა, ან მოსამსახურეებმა ის დრო, რომელიც მათ დასასვენებლად აქვთ მიცემული, სხვა ადგილზე სამსახურისთვის გამოიყენონო.

◆ **ერობათა კავშირის ტექნიკური** ნაწილი უკვე შეუდგა იმ ტექნიკურ ქონების შესყიდვას, რომელიც საჭიროა ბადიაურში გიდრავლიურ წისქვილის, ხე-ტყის სახერხ ქარხნისა და საპნის ქარხნისთვის აუცილებელ ნედლი მასალის დასამზადებლად. მოლაპარაკება სწარმოებს მანუფაქტურის, ფეხსაცმელების და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების შესახებ. უკვე შეძენილია თივის სათიბები და სათადარიგო ნაწილები. ამასთანავე ერობათა კავშირი ევროპაში გასაგზავნ ნედლ მასალას ამზადებს. ერობათა კავშირი ფიქრობს აგრეთვე დიდათ გააუმჯობესოს მეცხვარეობა, რომ შემდეგ განავითაროს საქსოვი მრეწველობა.

◆ **ირ. წერეთლის გამგზავრება.** საზღვარ-გარეთ გაემგზავრა ირ. წერეთელი. 6 ივლისს იგი ჩავიდა ბათომში, საიდანაც ახლო ხანში წავა ევროპაში.

◆ **ცისტერნების აღწერა.** საქართველოს რკინის გზების უფროსის განკარგულებით, რკინის გზებზე 8 ივლისს მოხდება ცისტერნების აღწერა.

◆ **საღამო-სეირნობა,** შაბათს, 17 ივლისს, ქართულ კლუბის ბაღში და საზაფხულო დარბაზში, მეოთხე რაიონული კოლექტივი და ვერის მუშათა კლუბის გამგეობა თავის კასის გასაძლიერებლად გამართავს დიდ სეირნობას საღამოთი. საღამოს სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება ჰარტმანის 3 მოქმედებიანი დრამა „შეშლილია“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს დამსახურებული მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი.** დღეს, საღ. 6 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში იწვევს პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. კრებაზე განხილულ იქნება შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პარტიული ყრილობის დელეგატისა, მომხსენებლათ მოწვეულია ამხ. ნ. რამიშვილი, 2) ბალშევიკების მუშაობა, 3) მიმდინარე კითხვები. პარტიის წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული წიგნაკები.

◆ **სესხი კახეთის რკინის გზას.** მთავრობამ დაადგინა: მიეცეს კახეთის რკინის გზის სამმართველოს სესხის სახით 10 მილიონი მანეთი. ამ თანხის ნახევრის მიცემა ახლა არის განზრახული, მეორე ნახევარს კი კახეთის რკინის გზის საქმეების გაცნობის შემდეგ მისცემენ სათანადო კანონპროექტის შემუშავება დამფ. კრებაში წარსადგენად გზათა მიმოსვლის დეპარტამენტს მიენდო.

◆ **სამთო სამმართველოს გამგე ი. ყიფშიძე,** სამთო სამმართველოს უფროს მოხელეთა თანხლებით ქვანახშირის მაღაროების გამოსაკვლევად ტყვიბულს გაემგზავრა. ი. ყიფშიძე ტყვიბულიდან ქუთაისში დარჩება, სადაც იგი საქართველოს სამთო წესდების შესახებ ტექნიკურ საზოგადოებას მოხსენებას გაუკეთებს. ი. ყიფშიძეს განზრახული აქვს აგრეთვე ჭიათურაში გამგზავრება, სადაც იგი შავი ქვის მრეწველთა მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს.

◆ **ნაშთების დაცვა.** თანახმად მთავრობის დადგენილებისა შესდგა საუწყებათაშორისო კომისია, რომელმაც ძველი ეკლესიების, მონასტრების და სხვა ძველ ნაშთების და აგრეთვე კერძო არქეოლოგიურ ღირებულებათა მქონე ქონების დასაცავად ზომები უნდა შეიმუშაოს. კომისიის შემადგენლობაში შედიან: იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამ. წარმომადგენლები და აგრეთვე მეოე საეკლესიო ყრილობის წარმომადგენლები.

◆ **სესხი ზუგდიდს.** მთავრობამ დაადგინა მისცეს ზუგდიდის ქალაქის თვითმართველობას სესხი. სესხის პირობების დამუშავება შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდო.

◆ **თუჯის გატანა.** რკინის გზელთა უფროსის განკარგულებით შესდგა სამი პირისაგან შემდგარი განსაკუთრებული კომისია. მათში ერთი სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელია. კომისიას ჭიათურის ქარხნიდან თუჯის გატანის საქმის მოწესრიგება ევალება. კომისია სად. სანდარით ჭიათურის ქარხანაში უკვე გაემგზავრა და უპირველეს ყოვლისა გადასატან საშუალების ორგანიზაციის საქმეს შეუდგა. სულ სად. სანდარზე ჯერჯერობით მოტანილია 1,169 ფუთი თუჯი, ქარხანაში 2000 ფუთზე მეტი თუჯი დარჩა.

კრებები

— დღეს, საღამოს 6 საათზე, კოლექტივის ბინაზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონულ კოლექტივის სხდომა.

წერილები ფრონტიდან

შეტაკება როყის უღელტეხილთან.

ყველას მოგეხსენებათ ოსეთის უკანასკნელი აჯანყება და ისიც, თუ როგორის სისწრაფით მოხდა ამ აჯანყების ჩაქრობა.—მე არ შევუდგები ჩვენი ჯარის ძლევა-მოსილ წინსვლის აღწერას. ჩემი მიზანია ამ სამხედრო ოპერაციების ერთი ეპიზოდი ავიღო.

ჩვენი წინსვლა ოსეთის ფრონტზე უნდა დამთავრებულიყო როყის უღელტეხილთან. მრავალი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ 20 ივნისს საქართველოს ლაშქარმა დაიკავა სოფელი როყი. № ბათალიონის მე-2 გუნდს ებრძანა დაეკავებია როყის უღელტეხილის გასწვრივ მდებარე უკანასკნელი ნაწილი სოფლისა, რაც სასწრაფოთ შესრულებულ იქნა ხსენებულ გუნდის მიერ. გუნდი დაბანაკდა. თვითეული გვარდიელი ეძებს მოხერხებულ ალაგს, რომ ცოტა ხნით მაინც დაისვენოს; მაგრამ ამის საშუალება მათ არ ეძლევა. მთის კალთებში ჩასაფრებულმა მოწინააღმდეგემ საშინელი სროლა ასტეხა თოფებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან. მთელი გუნდი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დგება. სროლა თანდათან ძლიერდება, თვითეულ გვარდიელს მოუსვენრობა ეტყობა. აქა-იქ ისმის უკმაყოფილების ხმა: „რას უცდიან ეს დალოცვილები, გვიბრძანონ, რომ უკანასკნელი ლახვარი ჩავსცეთ ამათო.. აჰა, გამოჩნდა გუნდის უფროსი აფიცერი ჭანუყვაძე, მოდის აუჩქარებლათ, თეთრი ჯოხით ხელში... ყველა მშვიდდება. უცდიდნენ განკარგულების მომცემს, ისიც მოვიდა. მან გამოიწვია პირველი და მეორე ოცეული და იმათი თანხლებით წავიდა მტრის ზურგის მოსავლელათ; ადგილზე რჩება მეოთხე ოცეული, აფიცერ ცინცაძის მეთაურობით.

სროლა თანდათან ნელდება. ყველა უღელტეხილს დასჩერებია. წამი... და დაკლაკნილი ბილიკი, მიმავალი ჩრდილოეთისაკენ, დაიფარა შავჩოხიანი „მებრძოლებით“. ჩვენს ბანაკს მღელვარება ეტყობა... ამ დროს იგრიალეს ზარბაზნებმა და მოხერხებულის ცეცხლით გაჰფანტეს მოწინააღმდეგე. არტილერია ჩაჩუმდა. აფიცერ ცინცაძეს მოსდის ბძანება თავის ოცეულით ავიდეს მთის კალთებზე, გაიგოს მტრის რაოდენობა და ჩამოიტანოს მისგან დატოვებული ტყვიისმფრქვეველები. გვარდიელების სიხარულს საზღვარი არა აქვს, ყველა იჩქარის, ერთ წამს „ცეპი“ გაიშალა ტრიალს მინდორზე, მივდივართ მთის კალთებისაკენ. ნახევარი საათი და ოცეულმა დაიჭირა ის მთის კალთები, სადაც მტერი ბატონობდა. ამოცანა შევასრულეთ. ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიის მფრქვეველი, ორი შეკაზმული ცხენი, თოფები და ის იყო უნდა წამოვსულიყავით, რომ მტერმა გვგვხვია ტყვიის ქსელში, გვესვრიან სამის მხრით, საჭიროა მხნე, მამაცი ხელმძღვანელი, რომ წამხდარ საქმეს რაიმე უშველოს; ასეთიც აღმოჩნდა ჩვენი ოფიცრის სახით. მან მსწრაფლ დაიჭირა მოხერხებული ადგილები მთის კალთაზე; გასცა ბრძანება — ხშირი ცეცხლით გვეპასუხნა მტრისათვის. თვითეულ გვარდიელს მტკიცეთ უჭირავს თავისი ადგილი და და მხნეთ იცავს თავის პოსტს. ოფიცერი ცინცაძე ელვის სისწრაფით დაქრის ფრონტის გასწვრივ, ამხნევებს ამხანაგებს, იძლევა განკარგულებებს. მტერი ცდილობს ჩვენს გათიშვას, მაგრამ ჩვენი მოხერხებული ცეცხლი ამის საშუალებას არ აძლევს. მარჯვენა ფრთას ებრძანა უკან დახევა, მარცხენა ფრთა კი ხელს უწყობს უკან მიმავალ ამხანაგებს მოხერხებული ცეცხლით. ამ დროს მოისმის გულშემზარავი ხმა: „ვაიმე, დედავ, მომკლეს... მიშველეთო“, „მეც მომკლეს მიშველეთო!“ აქვე ისმის მესამე დაჭრილის გულშემზარავი უხმო კვნესა...

მიზან მიღწეული ჯარი სრულის წესრიგით უკან იხევს, მოაქვს ნადავლი, მოყავს დაჭრილები. ყველა ხარობს, მხიარულობს, ხოლო ამ სიხარულს შიგა და შიგ ფრთას აკვეცს იმ ამხანაგების კვნესა, რომლებმაც თვისი უმანკო სისხლით მორწყეს უკანასკნელი ბრძოლის ველი და არ დაიშურეს თავისი სიცოცხლეც კი დიად საქმისათვის.

მწუხარებაში ჩაქსოვილი სიხარული, —ეს ხვედრია საქართველოს დემოკრატიისა და ნურავის გაუკვირდება, თუ ასეთივე იყო სულის კვეთება სახელოვან მეოთხე ოცეულისა.

გვარდიელი **ეპიფანე.**

მუშა ხელის ნაკლებობა ბორჩალოში

ბორჩალოს მაზრა დღეს განიცდის კრიზისს მუშა-ხელის უქონლობით. აუარებელი პურისა და ქერის მოსავალი მოუმკელ-დაუმუშავებელი რჩება. ყანები უკვე დიდი ხანია შემოსულია. ადგილობრივი გლეხ-კაცობა არ არის მიჩვეული მკას, იგი ყოველგვარ სამუშაოს დაქირავებულ მუშებით ასრულებდა. დღეს დღიურ ქირათ 500—800 მანეთამდე აძლევენ.

უარეს მდგომარეობაში იმყოფება გიაურ-არხის სახელმწიფო მამული მუშა-ხელის უქონლობის გამო. დიდძალი ნათესები დაუმუშავებელი რჩება და თუ დღესვე არ იქნა დახმარება სათანადო უწყებისა და მთავრობისაგან, მამულს დიდი ზარალი მოელის. მართალია, მამულის გამგე და მისი თანაშემწეები დაუზარებლათ მუშაობენ, მაგრამ უმუშა-ხელოთ ისინი მარტონი აბა რას გახდებიან.

საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და მობილიზაცია უყოს ქალაქ თფილისში მყოფ უმუშევარ ხალხს. მთავრობამ უნდა დაავალოს პროფესიონალურ ორგანიზაციებს და შრომის ბირჟებს, რომ ყველა უმუშევარი გადაგზავნოს ბორჩალოს მაზრაში, განსაკუთრებით გიაურ-არხის სახელმწიფო მამულებში,—გადაგზავნოს ყველა ისეთები, ვისაც მინდვრის მუშაობა შეუძლიათ.

მ. ორმოცაძე.

კომუნისტების ურცხვობა

თუ რა ურცხვ ხმებსავრცელებენ ჩვენს შესახებ ამ ბოლო დროს ბაქო-კავკაგანჯის კომუნისტები,—ყველამ იცის, ვინც თვალყურს ადევნებს „ერთობას“. ალბად, მათ ასეთ „უტყუარ“ ცნობებს აწოდებენ ჩვენი „მოშინაურებული“ კომუნისტები, რომელთაც ცხადია, ასე ამოქმედებს სიბრაზე—რატომ აქაც ვერ გავბატონდით კომუნისტები ისე, როგორც ბაქო-განჯა-კავკავშიო“.

გაბოროტებული თითო-ოროლა კომუნისტი ყველგან არის: დეპოში, ტრამვაიში, სხვა და სხვა სახელოსნოებში და აგრეთვე სტამბებშიაც.

ამ ბოროტ სულებს არაფერი სჯერათ იმისა, რაც რუსეთში, ბაქოში და ან სხვა კომუნისტთა სამფლობელოში ცუდი ხდება. ის კი სჯერათ, როდესაც ბაქო-კავკავის გაზეთები ჩვენ შესახებ ცხად სიცრუეს სწერენ. როცა ვინმე ეტყვის: თბილისში აბა როდის მომხდარა ასეთი რამეო,—მაშინვე პასუხად მიიღებს: თუ აქ არა, ალბათ, ქუთაისში მოხდებოდაო.

ამას ამბობენ გაბოროტებული კომუნისტები საჯაროდ, ხოლო ისე რას ამბობენ, რა ცილისწამებებს არ აცხობენ ჩვენი მთავრობის შესახებ,—ძნელი ჩამოსათვლელია!..

ჩემის ფიქრით, საჭიროა სასტიკი ზომების მიღება ასეთი მუშების თუ არა მუშების წინააღმდეგ. ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ ასეთი ურცხვი ცილისწამებისთვის მათ პასუხს მოსთხოვენ.

ასეთი კომუნისტი ქალაქთა კავშირის სტამბასაც ჰყავს. ერთი წუნარი კომუნისტი უკვე ზის თავის ალაგას. არის კიდევ მეორე. იგი კომუნისტიც არის და თუ საჭირო იქნება პირადათ მისთვის, დენიკინელიც გახდება. ასოთ-ამწყობი ალიშევსკი, რომელიც ამ მხრივ მეტად „კარგათ“ მუშაობს.

მუშა.

უცხოეთი

სომხეთი.

სავალდებულო სამხედრო სწავლა. გენერალ ფარუმიანმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც ყარსის ყველა მცხოვრებნი—33—35 წლისანი ვალდებულნი არიან ყოველდღიურათ 1 საათი მოახმარონ სამხედრო სწავლა-ვარჯიშობას.

შიმშილობა. ყარსის ოლქში ფქვილის დიდი ნაკლებობაა. ამის გამო იყო შემთხვევები შიმშილით სიკვდილისა. მთელი ორი თვის განმავლობაში ოლქის ღარიბ მცხოვრებთ სულზე 1/4 გირვ. პური ეძლეოდათ.

ვედიბასარში. სომხური გაზ. „მშაკი“ შემდეგს სწერს: ვედიბასარის მცხოვრებლები შიშობენ, რომ მათაც ასეთივე ბედი ეწევათ, როგორც ეწვია ზანგიბასარის მცხოვრებთ. ამიტომ ისინი მზად არიან დაემორჩილონ სომხეთის რესპუბლიკას.

თხოვნა პურის შესახებ. სომხეთის მზრუნველობის მინისტრმა სთხოვა ამერიკის წარმომადგენელს პოლკ. ტელფორდს, რათა მან დაუთმოს აბაჩაისლის რაიონის სოფლებს 1500 ფ. ფქვილი, ახალ-ბაიაზეთის მაზრას—1000 ფ., კამარლინსკის რაიონს—500 ფ., ზანგიბასარის რაიონს—2000 ფ., ეჩმიაძინის —2000 ფ., დელიჟანის—4000 ფ.

ოსმალეთი.

მილლისტების მოძრაობა. ამას წინად ბალშევიკები იტყობინებოდენ, რომ მუსტაფა-ქემალის „რევოლიუციონური“ ჯარები მიიწევენ კონსტანტინოპოლისა და დარდანელისაკენ. ამის გამო „არაჩი“ სწერს: მიღებული ცნობების თანახმად კონსტანტინოპოლის ზონის გარეშე მდებარე ტერიტორიები მილლისტების გავლენის ქვეშ იმყოფება. ისინი 40 ვერსის მანძილზე არიან კონსტანტინოპოლიდან. მოკავშირეთა ჯარებმა წინადადება მისცეს მილლისტებს (ნაციონალისტებს) იარაღით არ შესულიყვნენ კონსტანტინოპოლში, მაგრამ ნაციონალისტებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და წინ წაიწიეს სალიჯამდე (40 კილომეტრია კონსტანტინოპოლიდან). ამის გამო ინგლისის ჯარებმა 16 ივნისს სროლა დაუწყეს მილლისტებს ზარბაზნებიდან და რამოდენიმე საათის შემდეგ დიდძალი ხალხი დაუხოცეს მათ. („სლ.“).

პროფეს. კავშ. აღმასრულებელ კომიტეტში

საქართველოს პროფესიონალური კავშირების ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 6 ივლისის სხდომაზე დაადგინა გაუგზავნოს ბათომის პროფესიონალური კავშირების საბჭოს შემდეგი დეპეშა:

„საქართველოს გაერთიანებული მუშათა კლასის სახელით გილოცავთ სასიხარულო დღესასწაულს, ბათომის ჩვენთან დაბრუნებას და ჩვენ შორის ხელოვნურათ გავლებული საზღვრის გაუქმებას. გიგზავნით მხურვალე სალამს და ვისურვებთ, რომ ბათომის და მთელი საქართველოს მშრომელ ხალხს დღეიდან ევლოს ერთი გზით და განუყრელათ ჩვენი ნორჩი დემოკრატიის გასამტკიცებლათ და მომავალი სოციალისტური წეს-წყობილების დასამყარებლათ“.

კომიტეტმა იქონია აგრეთვე მსჯელობა 6 ივნისის სხდომაზე, ბაქოელ კომუნისტების შესახებ, რომლებიც ყალბ ცნობებს აწვდიან თავიანთ მკითხველებს საქართველოს შესახებ. სახელდობრ, ბაქოს გაზეთებში მოთავსებული წერილი თფილისში მიტინგის დახვრეტის შესახებ, და წერილი ნ. რამიშვილზე. ს წერილები პროვოკაციულია, რასაც შეიძლება მოყვეს სამოქალაქო ომი. პროფესიონალური კავშირების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნას შეერთებული კრება ადგილობრივ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, პროფესიონალური კავშირების ყველა გამგეობების, და ქარხნის კომიტეტების. ამ სხდომაზე გარჩეული იქნება არსებული მდგომარეობა და გადაწყდება, რა ზომები მიიღონ, რომ კომუნისტების ასეთ აგიტაციას ბოლო მოეღოს.

— კახეთის სახელმწიფო მამულების მუშათა ეკონომიურ მოთხოვნილების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. ხელაძე, რომელიც კომიტეტის მიერ კახეთში იყო გაგზავნილი საკითხის გამოსარკვევად და შესასწავლად.

მომხსენებლის სიტყვით მუშების მატერიალური მდგომარეობა მართლაც მძიმეა, 2.000 მან. ჯამაგირით დღეს ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. სურსათის მიწოდების საქმეც ვერ ყოფილა სათანადოთ მოგვარებული.

დადგენილ იქნა: მიექცეს მიწადმოქმედების სამინისტროს ყურადღება მამულების მუშათა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას და სურსათის მიწოდების საკითხის მოგვარებას. რაც შეეხება ჯამაგირების მომატებას, ეს კითხვა დასმულია საერთო მასშტაბით და მოკლე ხანში ის გადაწყვეტილი იქნება.

— კურსების მოწყობის შესახებ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელ მუშაკების მოსამზადებლად. კრება იწონებს კურსების პროგრამას, რომელიც წარმოდგენილ იქნა წინა სხდომაზე არჩეულ კომისიის მიერ და ამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას, რომლის ბალანსი ნავარაუდევია 150.000 მან.

— დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამს. კავშირის მომართვის შესახებ ეცნობოს კავშირს, რომ ერთდროული დახმარება თუ მიღებული არ აქვთ, —მიიღებენ. მომატების საკითხი კი საერთოდ არის დასმული და მოკლე ხანში გამოირკვევა, თუ რამდენი პროცენტი იქნება მომატებული.

ქართველი ოფიცრების დახვრეტა ბაქოში

(საინფორმაციო ბიუროს ცნობა)

თფილისი. 5 ივლისი. ბაქოს მთავრობის მიერ ქართველ ოფიცრების დახვრეტის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო შემდეგს იტყობინება: ბაქოში მყოფ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელის —ალშიბაიას ცნობით, 26 ივნისამდე ბაქოში დახვრეტილია 3 ქართველი ოფიცერი: პოლკოვნიკი ნიკოლოზ თუმანოვი, გენერალი ა. გ. მაყაშვილი და კორნეტი ა. თოფურიძე, რომელიც მსახურებდა საგანგებო მინდობილობათა მოხელეთ ბაქოს „საგრადონაჩალნიკოსთან“. პოლკოვნიკი თუმანოვი დახვრიტეს მაისის შუა რიცხვებში, როდესაც საბჭოთა ადერბეიჯანი ეომებოდა საქართველოს და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია ციხეში იჯდა, ხოლო გენერალ მაყაშვილსა და კორნეტ თოფურიძეს,— სულ 49 კაცს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ბაქოს „ჩრეზვიჩაიკამ“ 12 ივნისს. 13 ივნისს ადერბეიჯანის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარემ ჰუსეინოვმა განაჩენი დაამტკიცა, და 17 ივლისს ღამით იგი იქმნა სისრულეში მოყვანილი გენერალ მაყაშვილის და კორნეტ თოფურიძის მიმართ. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია განთავისუფლებულ იქმნა ციხიდან დროებით ზავის ძალით 29 მაისს. 1 ივნისს ექიმი ალშიბაია წამოვიდა აღსტაფაში, რათა მონაწილეობა მიეღო ადერბეიჯანის მთავრობასთან ზავის პირობების გამომუშავებაში. 13 ივნისს საღამოს 6 საათზედ ექიმი ალშიბაია დაბრუნდა ბაქოში და მხოლოდ 14 ივნისს მან პირველათ ინახულა, როგორც საქართველოს წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა კომისარი ჰუსეინოვი და იცნორა მან იგი საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლათ, შეუდგა თავის მოვალეობათა ასრულებას. ამ დღიდან ექიმმა ალშიბაიამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და პოლონეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების დასაცავად ყველა საჭირო ზომები; ამ მხრივ მან ბევრს მიაღწია. პირველ რიგში მან დაიწყო სამხედრო ტყვეების, ოფიცრების და სალდათების, განთავისუფლებაზე ზრუნვა და, გადალახა ამ მხრივ დიდი სიძნელე და დაბრკოლებები, რომლებსაც ჰქონიდა განსაკუთრებული განყოფილება მე-2 არმიისა; მან შესძლო განთავისუფლება მათი 24 ივნისს და გამოგზავნა სამშობლოში 80 კაცამდე სამხედრო ტყვეები და განჯის რაიონის ოფიცრები. გენერალ მაყაშვილის და კორნეტ თოფურიძის დახვრეტის თავიდან აცილება მან ვერ შესძლო რადგანაც სიკვდილის განაჩენი მასზედ გამოტანილი იყო 12 ივნისს, როცა ის იმყოფებოდა აღსტაფაში. ბაქოში ალშიბაია ჩამოვიდა 13 ივნისს, საღამოს 6 საათზედ, ხოლო განაჩენი 49 ოფიცრის, მათ შორის გენერალ მაყაშვილისა და კორნეტ თოფურიძის შესახებ დამტკიცებულ იქნა რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის ჰუსეინოვის მიერ 13 ივნისს, ღამის 11 საათ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის ჰუსეინოვის მიერ განაჩენის დამტკიცების შემდეგ, განაჩენი არავითარ შემთხვევაში და არავის მიერ არ შეიძლება გაუქმდეს. განაჩენი გენერალ მაყაშვილისა და კორნეტ თოფურიძის შესახებ სისრულეში იქნა მოყვანილი 17 ივნისს ღამით. გენერალ მაყაშვილისა და კორნეტ თოფურიძის დახვრეტის შესახებ ხმები ქალაქში პირველად 20 ივნისს გავრცელდა 21 ივნისს ექ ალშიბაიამ ინახულა სახალხო კომისარი ჰუსეინოვი, რათა გამოერკვია ამ „ხმების“ ჭეშმარიტება. მიიღო რა ცნობები ამ მძიმე ფაქტის სისწორის შესახებ, ალშიბაიამ გამოსთქვა რაც შეიძლება ენერგიული პროტესტი საგ. საქმეთა კომის. ჰუსეინოვის წინაშე და განუცხადა მას შემდეგი: „თუ დამტკიცდება, რომ მაყაშვილი დახვრეტილია თვრამეტ ივნისს შემდეგ,—მას შემდეგ, რაც მე რწმუნებულებები მომცეს, მაშინ მე ვიხსნი ყველა რწმუნებებს და მივდივარ თფილისში. თქვენ არა გსურთ თქვენი დაპირებების და გარანტიების ასრულება.—ასეთ ატმოსფერაში მე მუშაობა არ შემიძლია-ო“. სახალხო კომისარმა ჰუსეინოვმა დაუყონებლივ გამოიწვია „ჩრეზვიჩაიკის“ თავმჯდომარე პანკრატოვი, რომელმაც წარმოადგინა

გამოძიების მთელი მასალა, რომლიდანაც გამოირკვა, რომ 49 აფიცრებზე და მოქალაქეებზე, მათ რიცხვში გენერალ მაყაშვილზე და კორნეტ თოფურიძეზე განსაკუთრებულ კომისიის განაჩენი გამოტანილი იყო 13 ივნისს. სიკვდილის განაჩენი რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მიერ დამტკიცებულ იქნა 13 ივნისს, ღამის 11 საათზე. განაჩენი გენერალ მაყაშვილის და კორნეტ თოფურიძის მიმართ სისრულეში იქნა მოყვანილი 17 ივნისს ღამით. მაყაშვილს დანაშაულობათ ეთვლებოდა აქტიური ბრძოლა ბალშევიკების წინააღმდეგ მუსავატელების მთავრობის დროს და აგრეთვე მონაწილეობა განჯაში მომხდარ საბჭოთა წინააღმდეგ აჯანყებაში; კორნეტ თოფურიძეს ბრალდებოდა „კონტრრაზვედკაში“ მუშაობა.

23 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ექიმ ალშიბაიასაგან ბაქოდან მიიღო შემდეგი დეპეშა 20 ივნისის თარიღით: „თფილისი, საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს. საზავო ხელშეკრულობის პირველი პუნქტი სამხედრო ტყვეების დაუყონებლივ ურთიერთ გაცვლა-გამოცვლის შესახებ ჯერ არ არის შესრულებული. ითხოვენ ჩვენი სამხედრო ტყვეების, რიცხვით 72 კაცის, დარჩენას იმიტომ, რომ მათ თითქოს წითელ არმიაში შესვლის სურვილი განაცხადეს, მე დაჟინებით ვაცხადებდი პროტესტს, ვამტკიცებდი, რომ მათი განცხადება გამოწვეულია რეპრესიების შიშით და არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლად განცხადებათ. მე მივიღე ადერბ. რევოლ. კომიტეტისაგან ნებართვა მენახა ყველა სამხედრო ტყვეები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემი იქ ყოფნის დროს განაცხადებენ ისინი სურვილს წითელ არმიაში შესვლის შესახებ, დარჩებოდენ წითელ არმიაში. მე მოვახერხე თავისუფლად გამოშვება საქართველოში 20 ქართველ აფიცრისა, რომლებმაც არ მოისურვეს ადერბეიჯანის სამსახურში დარჩენა. დატუსაღებულია 10 ადერბეიჯანის სამსახურის აფიცერი, მათ შორის მაყაშვილი და ჩხეიძე. მათ ბრალდებათ განჯის ამბების მოწყობაში და საბჭოთა მთავ. წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა. ჩემის მოთხოვნით მე გამაცნობენ ამ აფიცრების საქმის გამოძიების მასალასთან. გამაცნობენ აგრეთვე საქართველოს ყველა ბრალდებულ მოქალაქეთა საქმესთან. საფრანგეთის ვიცე-კონსული დიურუა და 5 საფრანგეთის მოქალაქე გამოშვებულნი არიან ციხიდან ჩემის შუამდგომლობით. ინგლისის და პოლონეთის მისიები ჩემი დაჟინებითი მოთხოვნილებით გადაჰყავთ ყოფილ ნობელის ვილლაში ქალაქ გარეთ. მიუხედავათ ექიმ ალშიბაიას დეპეშის დამშვიდებულ ხასიათისა იმის გამო, რომ სხვადასხვა ხმები დადიოდა ბაქოს ამბების შესახებ, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა 25 ივნისს გაგზავნა ბაქოში შემდეგი დეპეშა: „ბაქო. საგ. საქ. სახ. კომ. ჰუსეინოვს, ასლი საქართველოს წარმომადგენელს ალშიბაიას. ჩვენ მიერ მიღებულ ცნობების თანახმათ ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობამ ბაქოში დაატუსაღა და სასამართლოს გადასცა გენერალი მაყაშვილი და სხვა პირები, რომელთა გვარები ჩვენ არ ვიცით, ვითომცდა განჯის ამბების მოწყობაში და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებებში მონაწილეობის მიღების გამო. ვაცხადებ რა პროტესტს ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობის ასეთ მოქმედების წინააღმდეგ, რაც არღვევს ალსტაფის ხელშეკრულების მეჩვიდმეტე მუხლს, რომელიც ორივე ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოს მოქალაქეებს ანიჭებს სამშობლოში დაუბრკოლებლათ დაბრუნების უფლებას, მიუხედავათ იმათი საზოგადოებრივ და სამსახურის პირობების მდგომარეობისა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვიცნობთ პირადათ გენ. მაყაშვილს და ჩვენი მხრივ ვეჭვობთ, რომ მას დანაშაულობა მიუძღოდეს იმ საქმეებში, რომელსაც მას აწერენ. საგ. საქ. მინ. მაგ. ქარცივაძე.

26 ივნისი, 1920 წ.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

მიმართვა სამაზრო და სათემო ერობისადმი.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებამ რამდენჯერმე აუწყა, ყველა სამაზრო ერობებს, რომ კახეთში გადასახლება სრულიად შეწყვეტილია. განყოფილებაში აუარებელი თხოვნები მოდის კახეთში გადასახლების შესახებ და ყველა ეს ერთი მხრით ტყუილა უბრალო ხარჯს აწევინებს მთხოვნელებს, ხოლო მეორე მხრით მათი ხშირი და უნაყოფო მომართვა ართულებს განყოფილების მუშაობას. განყოფილება ერთხელ კიდევ სთხოვს ყველა სამაზრო და სათემო ერობებს, აუწყონ ფართე მასსას, რომ თხოვნები კახეთში დასახლების შესახებ დაკმაყოფილებული არ იქნება. მსურველთ შეუძლიანთ გადასახლდნენ ყარაიაზში, ბორჩალოსა და ახალქალაქის და გორის მაზრის საგადასახლებო ფონდის ადგილებში.

ამ შემთხვევაში მათ მიეცემათ განყოფილებისაგან ფართო დახმარება: რკინის გზით გადაყვანა, სათესლე და სამეურნეო იარაღები, შენობების ასაგები მასალა, მუშა, საქონელი და პირველ მოსავლამდე ოჯახის და საქონლის გამოსაკვები სურსათ-სანოვაგე.

გადასახლების განყოფილების გამგე
ი. მარუაშვილი.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

1 ივლისს მესხეთის სახ. გვარდიის საოლქო შტაბის კულ. გან. განყოფილების მიერ იქნა მოწვეული ახალციხის გარნიზონის საერთო კრება თეატრ „რიმა“-ს შენობაში, სადაც გააკეთა ვრცელი მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრმა თედორე კიკვაძემ.

კრებას დაესწრნენ ათასამდე ჯარისკაცნი, გვარდიელნი და აფიცრები.

მომხსენებელი შეეხო ბათომის საკითხს, ბალშევიზმს საერთოდ, საბჭოთა რუსეთთან დადებულ ზავს, ადერბეიჯანთან ომს და ზავს, ოსების აჯანყებას და საქართველოში მომუშავე კომუნისტებს. ხაზგასმით აღნიშნა, როგორც „წითლების“, ისე „შავების“ ავანტიურა, მიმართული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ამასთან აღნიშნა, რომ ქართველი ერი, მისი დემოკრატია, —მოყვარული თავისუფლების და მშვიდობიანობის, ტრადიციულად იმარჯვებდა და იმარჯვებს დღესაც. სხვა მრავალ გამარჯვებასთან ერთად მოიპოვა დღეს ერთი უდიდესი გამარჯვება, რომელიც ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით აღინიშნება—ეს არის ბათომის და მისი ოლქის მშვიდობიანის გზით შემოერთება, ბოლოს ამხ. კიკვაძემ ჯარისკაცებს და გვარდიელებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ასეთი დიადი გამარჯვება ჩვენი დემოკრატიის დაუღალავი შრომის და თქვენი, მხედრობის, მედგარი ბრძოლის ნაყოფია,—მაშ, გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას—მის ბელად ნოე ჟორდანიას და ქართველ მხედრობასო“. სიტყვას ხანგრძლივი ტაში და ვაშას ძახილი მოჰყვა.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე და დიდათ კმაყოფილნი, მხნე სიმღერით წავიდნენ თავიანთ ბინებზე მხედრები.

ნ. ინასარიძე.

ს. დ.-პარტიაში

ხაზუმი (სამეგრელო). 16 მაისს, შესდგა ს. ს. დ. მ. პ. ხაზუმის ორგანიზაციის წევრთა კრება. კრებას დაესწრო დიდი უმრავლესობა. თავმჯ. არჩეულ იქნა ამხ. ს. გახარია, მდივნათ პ. გულუა. დღის წესრიგი: 1) კოლექტივის თავმჯ. მოხსენება, 2) ზუგდიდის პარტიულ კონფერენციაზე გაგზავნილი ამხ. ვ. ქარჩავას მოხსენება, 3) მომენტი, 4) პარტიული მუშაობა, 5) კოლექტივის არჩევნები და 6) მიმდინარე საკითხები.

კოლექტივის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ ა. შენგელია. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ორგანიზაციას დიდი ენერგიული მუშაობა გაუწევია როგორც პარტიულად, აგრეთვე კულტურულად. კრებამ მადლობა გადაუხადა კოლექტივის ძველ შემადგენლობას მუშაობისათვის.

ამხ. ვ. ქარჩავას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საერთოდ მაზრაში პარტიული მუშაობა არ ყოფილა სასურველად დაყენებული. მომენტის შესახებ ილაპარაკა თვით ამხ. ქარჩავამ, რის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მიესალმება რა ხაზუმის ორგანიზაციის ს. ს. დ. მ. პარტიისა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის ახალ გამარჯვებას საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრის გამო, ყოველივე მისი განკარგულებაში მყოფი ზნეობრივი და ფიზიკური ძალებით ზურგს გაუმაგრებს და მხარში ამოუდგება მას რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

პარტიულ მუშაობაზე მოკლედ აცნობებს კრებას პასუხისმგებელი პროპაგანდისტი ამხ. ერ. კაჭარავა. დადგენილ იქნა: ეთხოვოს ზუგდიდის სამაზრო პარტიულ კომიტეტს შეუკვეთოს ბეჭედი მის ორგანიზაციისათვის.

ბოლოს მოხდა კოლექტივის ახალ წევრების და სარევიზიო კომისიის არჩევა, არჩეულ იქნენ: ამხ. ან. შენგელია, ერ. კაჭარავა, კლ. ქარჩავა, ბიჭ. გოგუა და პ. გულუა. სარევიზიო კომისიაში: ამხ. ს. გახარია, გრ. გახარია და მოს. შენგელია.

ერ. კაჭარავა.

ოზურგეთი. 26 ივნისს შესდგა ოზურგეთის რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა. კრებამ მოისმინა მოხსენება ადგილებიდან და დაადგინა: რაიონში უნდა გაცხოველდეს პარტიული მუშაობა; იმართებოდეს ხშირად ყველა უბნებში პარტიული და საჯარო მიტინგები, სადაც გაკეთდება ფართო მოხსენება და გაიმართება კამათი სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე, თუ კი ბალშევიკები გამოჩნდებიან.

კოლექტივმა მოისმინა მცირე მოხსენება ს. ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობის შესახებ და დაადგინა: 4 ივლის, 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში მოწვეულ იქნას ოზურგეთის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება, სადაც გაკეთდება ყრილობის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება.

ვახო.

თფილისი. 3 ივლისს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა, რომელმაც მოისმინა მოხსენება კომიტეტიდან. კოლექტივი სავსებით იზიარებს გადაწყვეტილებას თფილისის კომიტეტისას. განსახილველი ჰქონდა შემდეგი საკითხები: 1) შტაბის რეორგანიზაცია, 2) თამამშევის მამულიდან მუშებისთვის ბინების გამოცვლა.

მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის რეორგანიზაციის დროს, სამწუხაროდ ზოგიერთი პარტიის წევრის მიერ დარღვეული შეიქნა პარტიული დისციპლინა და ამისთვის კოლექტივი ასეთ წევრებს პარტიისას იწვევს კოლექტივის მომავალ სხდომაზე საქმის გამოსარკვევად. თამამშევის მამულში, რომელიც შეისყიდა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ, სცხოვრობს ორი-სამი ოჯახი მუშისა, თითო ოჯახი მოთავსებულია თითო პატარა ოთახში, ეხლა, როგორც ირკვევა, მუშებისთვის წინადადება მიუცია გამგეს, რომ ბინები დასცალონ მათ, მუშებმა მიმართეს კოლექტივს. ამის გამო კოლექტივმა აირჩია კომისია, რომელმაც მიწათ-მოქმედების მინისტრთან უნდა გამოარკვიოს საქმის მდგომარეობა,

ვ—ვი.

მუშათა შორის

ავლაბრის მუშათა კლუბი. 28 ივნისს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა. გამგეობის თავმჯდომარემ სხდომას ამცნო, რომ საჭირო არის სესხის აღება, რათა შეკეთებულ იქნას კლუბის შენობა. გამგეობამ იქონია მსჯელობა ამ საგნის შესახებ და პრეზიდიუმს მიანდო სესხის აღება.

მოსკოვის კომიტეტის, სომხეთა გიმნაზიის შუამდგომლობა, რომ მოწაფეები უფასოდ იქნენ დაშვებულნი კინემატოგრაფში,—გამგეობამ დააკმაყოფილა.

ჯანველოვის ცოლის თხოვნა, რომ მას დასთმობოდა დარბაზი მუშათა კლუბისა, გამგეობამ არ დააკმაყოფილა. მდივანს ჯამაგირი გამგეობამ დაუნიშნა პირველ ივნისიდან თვეში 2000 მანეთი.

ექიმ ნაუმენკოს წინადადება რუსულ ენაზე ლექციების წაკითხვის შესახებ, გამგეობამ ღიათ დასტოვა.

ვერხვი.

ნავთლუღის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ხუნდაძისა საბჭოთა რუსეთის მდგომარეობაზე,—აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ომმა, რომელსაც საქართველოს დემოკრატია, თვისი ერთსულოვნობის გამო, საბოლოოთ ასცდა, რუსეთის მშრომელი მასსა მიიყვანა სრულ განადგურებამდე; კრება სავსებით უჭერს რა მხარს საქართველოს დემოკრატიის მეპაირახტრე დამფუძნებელ კრებას და მისგან ნდობით აღჭურვილ სოციალისტურ მთავრობას, ღრმად სწამს, რომ პროლეტარიატს საბოლოოთ გამარჯვებას მიანიჭებს მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული გზით წინსვლა... ამ იმედით ის მიესალმება დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და აგრეთვე მუშათა წიაღიდან გამოსულ ჯარსა და გვარდიას, რომლებმაც სისხლის ღვრით განამტკიცეს დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოში.

X.

ჩვენი რკინის გზების კოოპერაცია. ჩვენ, მუშათა კლასი, დიდ იმედებს ვამყარებთ კოოპერაციაზე, მისგან მოველით იაფ-ფასიან სურსათ-სანოვაგეს და ბაზარზე ფასების ზრდის შეკვეცას.

ჩვენი რკინის გზის კოოპერაცია ძლიერ ჩამოშორდა ამ მიზანს და შეუმჩნევლად მისი ფასები გაუთანასწორდა ბაზრის ფასებს.

რკინის გზის კოოპერატივი შედარებით სხვა კოოპერატივებთან ძლიერ დიდი დაწესებულებაა, ძირითადი მისი თანხა შეადგენს რამოდენიმე ათ მილიონს და მომხმარებელნი კი 50,000 კაცს უდრის. სავაჭრო-საქმ.ს საწარმოვო ბინები თითქმის ყველგან, მთელი რკინის გზის ხაზზე, სახაზინო, სურსათ-სანოვაგის გადატან-გადმოტანა შედარებით ძლიერ იაფ და ხელსაყრელ ფასებში, ზოგიერთ შემთხვევაში, უფასოთაც ხდება. თუ რამეს იხმარებენ რკინის გზის ქონებიდან, საცხობი ბინით, ელექტრონული ძალით, ცეცხლის მასალით, მანქანებით და სხვა, ესეც შედარებით ძლიერ იაფ ფასებში ეთმობა ხსენებულ კოოპერატივს.

ამდენი უპირატესობის შემდეგ სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომხმარებლებს ყოველივე საგანი ბაზართან კი არა, სხვა კოოპერატივთან შედარებით საგრძნობ ნაკლებ ფასებში უნდა ეთმობოდეს.

ნამდვილათ კი, წინააღმდეგს ვხედავთ. გარდა იმ საქონლისა, რაც ჩვენ კოოპერატივს მომარაგების სამინისტროდან ეძლევა, ყველა საქონლის ფასი არა თუ სხვა კოოპერატივის ფასს, არამედ—ბაზრის ფასსაც არ ჩამოუვარდება, ზოგიერთ შემთხვევაში გადაამეტებს კიდეც.

მაგალითად: ბაზარზე ღირს.

სარეცხი საპონი	55—60 მან.
სარდინკები	50—80 მან.
საშუალო ხარისხის პირსაბანი საპონი	35—80 მან.
ფხვნილი მარილი	9 მან.
თხილი	18 მან.
ფრანგული ქუდი „ჟოკე“	250 მან.
საშუალო ხარისხის კასტიუმი	2000—8000 მან.
ფეხსაცმელის ტყავი	250—380 მან.

ჩვენს კოოპერატივში ღირს.

სარეცხის საპონი	55 მან.
სარდინკები	50—100 მან.
საშუალო ხარისხის პირსაბანი საპონი	40—90 მან.
ფხვნილი მარილი	9 მან.
თხილი	19—20 მან.
ფრანგული ქუდი „ჟოკე“	250 მან.
საშუალო ხარისხ. კასტიუმი	2500—8000 მან.
ფეხსაცმელის ტყავი	200—375 მან.

წვანილი თანასწორად ღირს.

აქედგან აშკარად სჩანს, რომ ჩვენი კოოპერატივი ამ ბოლო დროს გვარიან მანძილით დაშორდა მიზანს—და უეჭველია, მომხმარებელ რკინის გზელებსაც აუცრუვდებათ გული და თანდათან ჩამოშორდებიან ამ დიად საქმეს.

სარევიზიო კომისია რას უყურებს არ ვიცით, მაგრამ რომ სასურსათო კომიტეტში ჩვენს რკინის გზაზე რწმუნებულები და მოსამსახურეები ბევრია და საქმე კი ცოტა სჩანს, ეს აშკარაა. არც ისაა დასაფარავი, რომ ქაღალდები ბევრი იწერება, უჩეკოთ ვერასფერს მიიღებ, მაგრამ დათხოვნილი მუშა-მსახურთა ოჯახები მაინც განაგრძობენ სურსათის მიღებას.

საქარელი მ.

პროვინცია

ნოსირი. (სამეგრელო) 27 ივნისს საღამო ჟამს, როდესაც ის იყო მოსეირნე ხალხი დაშლას აპირებდა, კომუნისტების ორი პროპაგანდისტები გამოცხადდნენ და განაცხადეს, რომ სურთ ელაპარაკონ და, აგრეთვე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ მენშევიკების პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი წვიმის შხუილი მოისმოდა, ხალხი არ დაიშალა და, გაემართა ადგილობრივ სკოლისაკენ კომუნისტური პროგრამის გასაცნობად. კრებას ხელმძღვანელობდენ ადგილობრივი კომუნისტები: დიმიტრი ზ. ბესელია, დავითი კილასონია და, მათი ხუთიოდე თანამოაზრე. ხალხი არც კი იყო სკოლის დარბაზში დალაგებული, როდესაც დაიწყო კომუნისტმა: „ამხანაგებო, მე უნდა დავიწყო მსოფლიო ბურჟუაზიიდან!“... ამ დროს ხელი შეუშალეს ორატორს და, მიუთითეს, კრებისთვის საჭირო იყო თავმჯდომარე. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ერასტო ბესელია. თავმჯდომარემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ კრების დანიშნულება და, მოუწოდა ორატორთ ჩასაწერად. კომუნისტებმა პროგრამულ კითხვებზე უარი განაცხადეს და აგრეთვე ბოდიშით ამბობდენ: შეცდომით მოგიწვიეთო, რამაც თვით მათი თანამოაზრეთა შორისაც კი გამოიწვია უკმაყოფილება. კრება დაჟინებით მოითხოვდა, რომ მენშევიკსაც და კომუნისტსაც განემარტათ თავიანთი პროგრამები, მაგრამ კომუნისტებმა ერთხელ კიდევ განაცხადეს, რომ ისინი მოდიან სხვისი დირექტივებით და, არა აქვთ უფლება პროგრამაზე ილაპარაკონ, მხოლოდ მსურველებს ჩასწერავენ თავიანთი პარტიაში. როდესაც ამხ. ერ. ბესელია შეეკითხა: „მაგალითად მე თუ გეტყვით თქვენ, კომუნისტებმა გაანადგურეს რუსეთი და აგრეთვე საწყალი აზერბეიჯანიც, მაშინაც არ გაქვთ პასუხის მოცემის უფლებაო?“ კომუნისტები გაჩუმდენ. დასასრულ ადგილობრივ ერობის გამგეობას მოაქვს გაზეთ „კომუნისტის“ მეოთხე ნომერი, სადაც მოთავსებულია ყოვლად უსაფუძვლო და სიმართლის მოკლებული ყალბი ცნობა ხსენებული გამგეობის მიმართ. გამგეობა აცხადებს, რომ გაირკვეს წერილის სინამდვილე, რისათვის კრება მოითხოვს ყველასათვის გასაგონად იქნას გაზეთი წაკითხული. გაზეთს კითხულობს ამხ. ოდიშარია და ხაზს უსვამს იმ ადგილზე, სადაც ნათქვამია ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ კომუნისტების დატყვევებაზე. ამ ცნობამ განცვიფრებაში მოიყვანა დამსწრენი, ვინაიდან ასეთი რამ გარდა „კომუნისტისა“, არავის დასიზმრებია. კრება პროტესტს აცხადებს ასეთ ცნობისთვის და გმობს ამ სიყალბით გაჟღენთილ გაზეთსაც.

ყარამან ოდიშარია.

საჯავახოს მხარე. როგორც მთელ გურიაში, ისე საჯავახოს მხარეში სიმინდის მეტის-მეტი ნაკლებობაა და მრავალი ოჯახები ნამდვილ შიმშილს განიცდიან. კოოპერატივები და სათემო ერობები თავის მხრივ ცდილობენ, რომ ხალხის აუტანელ მდგომარეობას რაიმე წამალი დასდონ სურსათის მხრივ, მაგრამ მათი „ცდა“ მხოლოდ ცდად რჩება და ჯერჯეროობით ბევრი არაფერი გაკეთებულა. სიმინდი ადგილობრივად აღარ იშოვება, და თუ სადმეა, თითო ოროოლა ფუთობით, ათას მანეთამდე ფასობს ფუთი. საჭიროა ამ მხრივ ფართე ყურადღება მთავრობისაგან, თორემ კოოპერატივები ვერაფერს გახდებიან. ეგ შიმშილი რომ არ აშინებდეს ჩვენებურ ხალხს, სხვაფრივ სოფლელნი უდიდეს კმაყოფილებას გრძნობენ მთავრობის მოქმედებით, როგორიცაა მაგალითად მტრებთან ზავის ჩამოგდება და სხვა. სიძვირის და უსურსათობის გამო გამოწვეულ მწუხარებას რამოდენიმეთ ჩრდილავს ის საზოგადო ნუგეში, რომ ყანებს ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს, რადგან წლევანდელი ამინდი ხელს უწყობს და თუ ასე გასტანა, უსათუოდ კარგი მოსავალი იქნება წელს. ადესას ვენახს შესანიშნავად ასხია წელს. როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი შეძლებისა დაგვარად უდიდესი ყურადღებით ეპყრობა ჩვენი გმირი ჯარისკაცების და გვარდიელების ოჯახებს:—დაითესა მათი ყანები და ეხლა იმარგლება. —აბრეშუმის მოსავალი წელს საჯავახოს მხარეში საშუალოზე მეტია. ხალხს ძლიერ უხარია, რომ აბრეშუმის გასაღების საქმე თვითონ მთავრობამ იკისრა.

სათემო ერობების მუშაობა ზოგიერთ თემებში ვერ არის ჯეროვანად დაყენებული, მაგრამ იმედია გამოკეთდება. მუშაობა კარგათ სწარმოებს მხოლოდ საჭამიას სერის თემში. აქ ყოველნაირი კულტურული დაწესებულებები აქვს ხალხს. ეხლახან საჭამია სერზე მოათავა ხალხმა მშვენიერი დიდი ხის შენობა, რაშიაც უნდა მოათავსონ საავადმყოფო. ეს საავათმყოფო მთა-საჯავახოს ერთ საუკეთესო ალაგასაა მოთავსებული და მითი სარგებლობა შეუძლია ოთხი თემის ხალხს.

მელქისედეკი.

სოფ. კაკაბეთი (სიღნაღის მაზრა). ეს სოფელი შესდგება 700 კომლისაგან, მცხოვრებლები ძველიდანვე ცხოვრობდნენ სახაზინო მიწებზედ, რომლის ზომაც არის 2150 დესეტინა, მასში შედის სახნავი და უვარგისი ადგილები, გორები და სხვა. მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას და საქონლის მოშენებას. ძველი მთავრობის დამხობას ხალხი სიხარულით შეხვდა და გაიძახოდა, რომ ეხლა კი გველირსება და ახალი ცხოვრება მოგვიტანს მიწას და წელში გავიმართებითო. როგორც ზემოთ ვსთქვით, კომლზედ მოდის სამი დესეტინა, რომელშიაც შედის სახნავი, სათიბი და უვარგისი ადგილები. სახნავი იმდენათ ცოტა არის, რომ სრულიათ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; რაც შეეხება საძოვარს და სათიბებს, ეს სრულიათ არ არსებობს, და იძულებულნი არიან მეზობელ სოფლებში იყიდონ, სადაც ერთი ათათ ახდევინებენ. იმდენათ შევიწროებულნი არიან სოფლელნი, რომ მოშენე საქონელი სრულიად მოსპეს, დარჩომილია მხოლოდ მუშა საქონელი. ასეთ აუწერელ მდგომარეობაში იმყოფებიან და დღიდან რევოლიუციის დაწყებისა ელოდებიან მიწის განმანაწილებელ კომისიას. არ იქნა და არ ეღირსათ არსაიდან შველა. კაკაბეთის მეზობლათ მდებარე სოფლებს დარჩათ ყოფილი თავადიშვილების მამულები, ეგრეთ წოდებული „საფონდო“, რომლითაც ისინი სარგებლობენ, მხოლოდ კაკაბეთი იმყოფება გამოუვალ მდგომარეობაში, მის ახლოს არსად არის არც საფონდო, არც სხვა რამე ადგილები, რომ მათ შეეძლოთ სარგებლობა.

ხალხი მრავალ თხოვნებს გზავნიდა სადაც კი შეიძლებოდა და თხოვდა მიეცათ მათთვის მიწა სადაც უნდა ყოფილიყო, მიუხედავათ მანძილისა სახნავ-საძოვარი. მაზრის ერობის განკარგულებით მათ ნება დართეს მდინარე ივრის გაღმა არამ-დარაში საფონდო ადგილში საქონლის მოძოვებისა. იქ მთელი საქონელი გავიდა, მაგრამ იქაც ახალი დამაბრკოლებელი მიზეზი აღმოჩნდა. სოფელ იორო-მუღანლოს მცხოვრებლებმა ათასი საჩივრები შეიტანეს სამინისტროში და მაზრის ერობაში, ათასგვარ ჭორებს და ცილისწამებას აბრალებენ კაკაბელებს და ამით ლამობენ აიძულონ მთავრობა კაკაბელების იქიდან გაძევება. საკვირველი ის არის, რომ ადგილი „არანდერა“ ეს ის ადგილია, სადაც მოსახლეობდა ორი რუსის სოფელი. პირველ რევოლიუციის ხანაში თათრებმა იგრძნეს თუ არა ოსმალეთის ჩვენ საზღვრებთან მოახლოება, ისინი შეესივნენ რუსებს, დასტაცეს საქონელი, არ მოასვენეს და იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ, რითაც მათ ისარგებლეს და თოთხმეტი ათასი დესეტინა საუკეთესო მიწები მიითვისეს, მიუხედავათ იმისა, რომ მათ თავიანთი მიწებიც ბევრი აქვთ და იმდენათ მოჭარბებული, რომ არც კი იციან არც თავი და არც ბოლო, იმ დროს როცა გვერდზე მდებარე სოფელი შიმშილით იხოცება. რაკი დახედეს, კაკაბელები გავიდნენ, იორო-მუღანლოს მცხოვრებლებმა ძველ ხერხს მიმართეს. სრულიათ უმიზეზოთ თოფით ამოხოცეს 12 ღორი, ღირებული დღევანდელ ფასებში ასი ათასი მანეთად. დაერივნენ და დახნეს და დათიბეს ის ადგილები, რომელიც საფონდო მამულების აგენტისაგან იყო გადაცემული კაკაბეთისათვის. არა ზოგავენ არავითარ საშუალებას, რომ აიძულონ ხალხი გავიდეს იქიდან. გათიბული თივები ამ ჟამად იქვე არის და არ აძლევენ ნებას გამოიტანონ. ასეთივე დავა არის გარეჯელებთან ზემოხსენებულ ყორულის შესახებ. ამ უკანასკნელთ იმდენა მამული აქვთ, რომ ვერ ერევიან ვერც ხვნას და ვერც მის გამოყენებას, აძლევენ იჯარით და მიუხედავათ ამისა, ისინი ხელიდან ართმევენ მშიერ კაკაბელებს იმ პატარა ადგილს „ყორულს“, რომელიც მათთვის სრულიათ საჭირო არ არის, რომ მეტი მამული აქვთ გარეჯელებს, ეს იცის მთელმა ივრის პირზე მდებარე სოფლებმა, რომელთაც კომლზედ არა ნაკლებ 40 დესეტინის მოსდით, და ეს კი იმდენია, რომ ყოველ გვარ ნორმას აჭარბებს. ასეთ პირობებში მყოფი ხალხი კიდევ უკმაყოფილებას აცხადებს მიწის სიმცირის გამო და აწუხებს ისედაც მრავალი საქმით დატვირთულ მთავრობას.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ვისგანაც ჯერარს, რათა დროზედ დაინიშნოს კომისია, რომელსაც დაევალება მოგვარება გარეჯელებთან და იორ-მუღალხოელებთან სადავო ადგილების გადაწყვეტა, რადგან მოსავალი მოიმკება თუ არა, ხალხი შეუდგება ხვნას და გუთნებს გაიტანს და მოსალოდნელია არა სასიამოვნო შედეგები. კაკაბეთის თემი მთლად გადარჩა სტიქიურ უბედურებას, მოსავალი საშუალო, რამაც მრავალ სპეკულიანტებს მადა გაუღვიძა, წინდაწინ არიგებენ ფულებს.

ვასილი კიკოლიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე-140 ნომერში მოთავსებული იყო წერილი „ადგილობრივი“-ს ფსევდონიმით, სადაც წერილის ავტორი ეხება ივრის თემის გამგეობის და სხვათა შორის, სწერს, ვითომ ორი წევრი თემისა არაფერს ვაკეთებთ და ტყუილათ ვიღებთ ჯამაგირებსო; გარდა ამისა კერძოთ ჩემზედ ნათქვამია, რომ მეურნეობა ნებას არ მაძლევს ვიარო თემში და ამნაირათ შევასრულო სამსახური. ბ. კორესპონდენტს რომ სცოდნოდა, თემში სიარული და იქ საათობით ჯდომა საქმის კეთებას არ ნიშნავს, ასეთ ბავშურ საყვედურს არ წამოაყენებდა; მეურნეობას სრულიადაც არ შეუშლია ჩემთვის ხელი, რომ მეკეთებინა თემის საქმეები; როცა სოფლებში ვარ თემის საქმეებზედ გაგზავნილი და ამავე დროს კანცელარიაში ვერ მივდივარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქმეს ვღალატობ და ტყუილათ ვიღებ ჯამაგირს, ეს უნდა სცოდნოდა კორესპონდენტს და გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ 9 საათზედ მისვლა თემში და სამ საათზედ წამოსვლა, საქმის კეთებას არ ნიშნავს, საჭიროა სოფლებში სიარული, სხვადასხვა ცნობების შეკრეფათ, საჭიროა ხალხში ყოფნა და მუშაობა; თემი ბიუროკრატიული დაწესებულება არ არის რომ „ჩინოვნიკურათ“ ასრულებდეს თემის მოსამსახურე თავის მოვალეობას. დღიდან გამგეობის წევრათ არჩევისა, ვმუშაობ აგრარულ კომისიასთან ერთად და მომეტებულ ნაწილათ მიხდება სოფლებში ყოფნა.

ივრის თემის გამგეობის წევრი: გიორგი ივანეს ძე ვასილევი.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

5 ივლისს სადღაც წავიდა 12 წლის ყმაწვილი
ნიკო ალექსანდრეს ძე ბეჟანიშვილი
მას შემდეგ ვერაფერი გავიგეთ თუ სად იმყოფება. თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს ვსთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: კირკის ქ. № 56, მართა ბეჟანოვს. (1—1)

ყოფილი დამაარსებელი და გამგე სრულ-უფლებიანი გიმნაზიისა
მათემატიკის მასწავლებელი, ივ. მარკ. მაჩაიძე. ამზადებს მოზრდილთა 4,5,6,7 კლას. შესასვლელად. ყველა სასწავლ. და მოწაფეებს განმეორებითი გამოცდებზე; მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: პლეხანოვის ქუჩა 25. (ყოფ. მიხეილის ქ.) შესავალი ალექსის ქ. 5. 9—11 ს. 4—6 ს. საღ. (2169—7—4)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914), ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

იყიდება
საკერავი მანქანა-შკაფი
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი **მ. ა. შაჰრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპ ვიკლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოგერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. ჰ. აღასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
ნ. მ. გაჩეჩილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.